სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 10 ივნისი 2005 №130 (2452) ფასი 50 თეთრი



შალკე გაურკვევლობაშია?

ხიზანიშვილი 500 000 £ ღირს

8

სირაძემ დინამოს გერმანია არჩია

8



ჯომოლუნგმა იზრდება, თოვლს იგერტყავს და გვემშვიდობება

15

საფრანგეთი მსოფლიოს ეობა, მოგებული კი საქართველო დარჩა

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბულგარეთში A დივიზიონში გადასასვლელი ევროსაკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადება დაიწყო, გუშინ კი ღია კარის დღე ჰქონდა.



გუშინ დოლუხანოვის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს აღმასკომი, ხვალ უარჩევნო არჩევნები

11 ივნისიც მოგვიახლოვდა: ხვალ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ეყოლება. ისე მოხდა, რომ ნოდარ ახალკაცს მოცილე აღარ ჰყავს და ჩვენც უარჩევნო არჩევნები დავარქვით ამ ფორმალობას. დღეს კი ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გაიმართება, წესი წესია — მართალია, ყრილობაზე შფოთიანობას არავინ ელის, მაგრამ პატარ-პატარა საკითხები მაინც მოსაგვარებელია, რათა ყველაფერმა ნორმალურად ჩაიაროს და დარღვევები არ მოხდეს.

ბადრი ალთოლაძის ფოტო

კალაძის გეოგრაფია

კახა ფიქრით უკვე ლონდონშია

„მილანი“ და „ჩელსი“ მომავალ კვირაში ერთხელაც უნდა შეხვდნენ, რათა ერნან კრესპოსა და კახა კალაძის თაობაზე ოთხშაბათს დაწყებული მოლაპარაკებები ბოლომდე მიიყვანონ.

მოლაპარაკებებს „მილანის“ მხრიდან ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი, „ჩელსის“ მხრიდან კი თავმჯდომარე პიტერ კინიონი აწარმოებენ. ჯერჯერობით მხარეები არაფერზე შეთანხმებულან.

„კრესპოსა და კალაძეზე საუბარი ჯერ მხოლოდ დავიწყეთ, ხოლო საქმის ბოლომდე მისაყვანად ერთი კვირის შემდეგ კიდევ ერთი შეხვედრა დაგვჭირდება. გვინდა, ჯერ სეზონი მართლა დამთავრდეს, თავისი ყველანაირი კუდებით“ — განაცხადა კინიონმა.

შეგახსენებთ, რომ კრესპო „ჩელსის“ საკუთრებაა და „მილანში“ იჯარის წესით თამაშობს, ხოლო საქართველოს ნაკრების კაპიტანი სავარაუდო გარიგების შემადგენელ ნაწილად არის მიჩნეული.

„მე ლონდონელებთან ყველაფერზე მოვილაპარაკე. ახლა „მილანსა“ და „ჩელსის“ შეთანხმებას ველი. თუმცა, ვფიქრობ, ეს პრობლემა არ იქნება. იმ კვირიდან ლონდონელი გავხდები — უთხრა კალაძემ ინგლისელ ჟურნალისტებს — გასულ სეზონში ბევრი დრო გავატარე სკამზე. ამას კი ვერც ერთ გუნდში ვერ გავუძლებ. „მილანთან“ ერთად ბევრი ჯილდო მოვიგე და ეს არც „ჩელსისთან“ ერთად იქნება შეუძლებელი. მილანში ხუთი წელიწადი გავატარე და აქ უამრავი მეგობარი მყავს. ახლა კი ქალაქს ვიცვლი. საერთოდაც, მგონია, რომ დღეს ლონდონი მთავარი ქალაქია ევროპაში“.

მოკლედ, კახა კალაძე თითქმის ჩელსელია: „თბილისიდან კიევში გადავედი, იქიდან მილანში, ახლა კი ლონდონში მივემგზავრები. ღმერთს ვუმადლი, რომ ასეთ ქალაქებში მუშაობის საშუალება მომცა“.

ლუკა თალაკვაძე

პოლონეთი

პირველი ლიგა
XXV ტური

კრაკოვია 4:2 პოგონი
გურნიკი 0:1 პოლონია
გროცლინი 0:0 ლეჩნა
ლეხი 3:1 ვისლა
ლეგია 2:0 კატოვიცე
ოდრა 0:1 პლოცკი
ზაგლებე 1:1 ამიკა

შვედეთი

სუპერეტა
გადადებული მატჩი

აიკ 1:0 ატვიდაბერგი

თასის მერვედფინალი

გიოტებორგი 1:2 ელფსბორგი

ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი
A ჯგუფი. VI ტური

ვენლო 2:1 როზენდალი
ვოლენდამი 3:3 ტელსტარი

B ჯგუფი. VI ტური

ჰელმონდი 1:2 სპარტა
ზვოლე 1:4 გრააფსხაპი

დანია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

ჰორსენსი 2:1 ფრემი

ამხანაგური მატჩები

ავსტრალია 1:0 ახალი ზელანდია
იორდანია 0:1 ერაყი
მალაიზია 1:2 სინგაპური

ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005

B ჯგუფი. II ტური

იტალია 0:4 გერმანია
საფრანგეთი 1:1 ნორვეგია

შალკე გაურკვევლობაშია?

ანდრეას მიოლერი: ხიზანიშვილს უკეთესადაც გამოვცდით

რეინჯერსმა ქართველს ფასი დაადო — 500 000 £

ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსიდან“ „შალკეში“ შესაძლო ტრანსფერის თემას გერმანული გამოცემა „კიკერიც“ ეხმაურება.

4 ივნისს ტირანაში ალბანეთ — საქართველოს მატჩზე ხიზანიშვილის თამაშის სანახავად საგანგებოდ ჩავიდა „შალკეს“ დამრიგებელი რალფ რანგნიკი, მაგრამ მისი შთაბეჭდილებების შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით. „კიკერმა“ კი ამასთან დაკავშირებით „შალკეს“ მენეჯერ, წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელ ანდრეას მიოლერს სთხოვა კომენტარი.

„ამ მატჩში ხიზანიშვილს არ შეეძლო ჩვენთვის რაიმეს დამტკიცება, ჩვენ მას კიდევ უფრო დაკვირვებით გამოვცდით“ — ასეთი უცნაური იყო მიოლერის პასუხი, რადგან სეზონი უკვე დამთავრდა და კიდევ როგორღა უნდა დააკვირდნენ ჩვენებურს, ძნელი სათქმელია. ხიზანიშვილი საქართველოს ნაკრებისა და „რეინჯერსის“ ფეხბურთელია და ასეთებს რაგინდარა კლუბში ვარჯიშებზე და საკონტროლო მატჩებზე გასასინჯად არ იწვევენ.

„კიკერი“ იტყობინება, რომ 8 ივნისს „შალკეს“ გენერალური მენეჯერი რუდი ასაუერი კოპენჰაგენში გახლდათ დანია — ალბანეთის მატჩზე, რათა დანიელთა უდინეზელი მცველი ჰერ კროლდრუპი ენახა საქმეში.

ერთი სიტყვით, „კიკერის“ ცნობებზე დაყრდნობით უნდა ვივარაუდოთ, რომ „შალკე“ ჯერ გაურკვევლობაშია — ხიზანიშვილი თუ კროლდრუპი?

ბრიტანული BBC კი იუწყება, რომ „რეინჯერსი“, რომელმაც ქართველი მცველი, ფაქტობრივად, მუქთად ჩაიგდო ხელში „დანდისგან“, ახლა ხიზანიშვილში დაახლოებით ნახევარ მილიონ გირვანქას ითხოვს.

ლუკა თალაკვაძე

დინამოს ისევ გერმანია მირჩევნია

ალენი და ბრაუნშვაიგი: სირაძე 20 ივნისამდე სხვასაც ელის

23 წლის დავით სირაძე უგუნდოდაა, მაგრამ მას უკვე მეორე ბუნდესლიგის ორი გუნდი იწვევს და ისიც ალბათ კვლავ გერმანიაში ითამაშებს.

სირაძე თბილისის „ლოკომოტივიდან“ გერმანიაში შარშან, იანვარში გადაბარგდა და ბერლინის „უნიონში“ ჩაირიცხა, თუმცა 2003-04 წლების სეზონში „უნიონი“ მეორე ბუნდესლიგიდან გავარდა, ხოლო სირაძე ტრირის „აინტრახტში“ გადავიდა. მაგრამ არც ტრირული კარიერა გამოდგა იღბლიანი — მეორე ბუნდესლიგიდან „ტრირიც“ ჩაქვეითდა და ჩვენებური იქიდანაც წამოვიდა.

— თბილისის „დინამოს“ სურდა ჩემი აყვანა, მაგრამ ვიუარე, ისევ უცხოეთში მინდა თამაში. ჩემი აგენტი უდო შრიოდერი დამიკავშირდა და მითხრა, შენი გადაბირება „ალენს“ და „ბრაუნშვაიგის“ სურთო. შესაძლოა, მეორე ბუნდესლიგის სხვა გუნდებიდანაც იყოს შემოთავაზება. მსურს, კვლავ გერმანიაში ვითამაშო, ყველაფერი 20 ივნისამდე გადაწყდება“ — გვითხრა სირაძემ.

დავით თავართქილაძე

მოდებაძე გარღვევებით და პენალტით დაბრუნდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი ირაკლი მოდებაძე ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელდა. ოთხთვიანი უქმობის მერე ჩვენიანმა ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მიერ გამართულ ტესტ-მატჩში ითამაშა — მოდებაძის გუნდმა სტუმრად „დნიპროსთან“ 2:5 წააგო, ირაკლი კი 33-ე წუთზე შევიდა მინდორზე და თავისიანთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოც იყო.

„მოდებაძე ძველებურად მწვავედ ვერ თამაშობდა, თუმცა ორ-სამჯერ ისეთი გარღვევები და პასები გააკეთა, რომ, ჩანს, მალე აღიდგენს ფორმას. გარდა ამისა, ქართველმა თავდამსხმელმა პენალტიც მოინადირა“ — წერს უკრაინული პრესა.

ილია ნანობაშვილი

ვოლფსბერგი ახალ ფედერაციას: ჯერ გაცნობა, მერე კი საქმე



უეფას პროგრამა „ჰეთ თრიქის“ მენეჯერი და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კურატორი ბრუნო ვოლფსბერგი გუშინ სფფ-ის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან ერთად შეგვხვდა ჟურნალისტებს. წინასწარ ვიტყვით, რომ ვოლფსბერგი ორი დღით იყო თბილისში ჩამოსული და 11 ივნისის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს არ დაესწრება...

სტუმარმა თავისი ვიზიტის შესახებ ეს გვითხრა: „ერთი წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ. მინდოდა ფედერაციის ოფისის, ასევე ნაკრების ბაზის ნახვა. სფფ-მ „ჰეთ თრიქისგან“ მიიღო თანხები სამსაჯო და სამწვრთნელო კურსების ჩასატარებლად, ასევე მინი-მოედნების გასაკეთებლად. ვიცი, რომ თქვენთან რეგიონულ ფედერაციებს ნორმალური პირობები არა აქვთ, არც ინფრასტრუქტურაა მოწესრიგებული.

...უმსაჯებოდ ფეხბურთი არავის გაუგია. სამწუხაროა, რაც შეედ ანდერს ფრისკს დაემართა, მაგრამ ზოგადად კარგი მსაჯი ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. უეფა ევროპის წევრ ყველა ქვეყანას ეხმარება. 2004-2008 წლებში ჩვენგან თითოეული ფედერაცია 2,5 მილიონ შვეიცარულ ფრანკს მიიღებს. მათ იმაში უნდა მოიხმარონ ეს თანხა, რაშიც სჭირდებათ. მაგალითად, უკრაინას საქართველოსნაირი ფედერაციის ოფისი არა აქვს და მის ასაშენებლად გამოიყენებს, თქვენთან კი მსაჯების და მწვრთნელების განვითარება, ასევე მინი და ხელოვნურსაფარიანი მინდვრებია საჭირო.

...სფფ-ის ახალ ხელმძღვანელებს მალე გავიცნობთ. ეს მათაც სჭირდებათ და ჩვენც. საქმე ისაა, რომ უნდა ვიცოდეთ ახალი ხელმძღვანელების პოზიცია. არ გვინდა, ისე მოხდეს, რომ ჩვენი დახმარება წყალში გადაიყაროს. ერთი სიტყვით, მიუხედავად ფედერაციაში მომხდარი რეორგანიზაციისა, თუ მიზეზი არ იქნება, დახმარებას არ შევაჩერებთ“.

ვალერი ჩოლარიას თქმით, უკვე ოთხ ქალაქში დაიწყო მინდვრების გაკეთება, მათ შორის ბათუმშიც, სადაც ხელოვნური საფარი იგება. მთავარია, ქართულმა მხარემ მიწის ნაკვეთების საკუთრებას ან გრძელვადიან მფლობელობაში აღებას მიაღწიოს. ეს კი ზოგ რეგიონში არ ხერხდება.

ფედერაციის გენმდივნის თქმითვე, ყველა რეგიონში განხორციელდება „ჰეთ თრიქის“ პროექტი. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციაც მოწადინებულია, მაგრამ იურისდიქციულად იქ მოქმედება ჯერ არ შეგვიძლია და როგორც კი ამ კუთხეში სიტუაცია საჩვენოდ დალაგდება, უეფაც მხარში დაგვიდგებაო.

ბრუნო ვოლფსბერგს ისიც ვკითხეთ, როგორ რეაგირებს უეფა იმაზე, რომ სფფ-ის საპრეზიდენტო არჩევნები უალტერნატივოა. სტუმარმა ეს ფაქტი ჩვეულებრივ ამბად აღიქვა, ბევრ ქვეყანაში მომხდარა ასე და პრობლემას ვერ ვხედავ.

„სახელმწიფოს როლზე ვიტყვი: კარგად ვიცი, საქართველოს მთავრობას ქვეყანაში ფეხბურთის აღორძინება ძალიან უნდა. მთავარია, უხეში დარღვევები არ იყოს, თორემ სახელმწიფოს ასეთი მიდგომა ნორმალური ამბავია“ — თქვა ვოლფსბერგმა.

ბოლოს ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, რომ დღეს 12 საათზე ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გაიმართება, ხვალ კი... თავადაც იცით.

ილია ნანობაშვილი

გრიშიკაშვილის სამი გზა: საქართველო, რუსეთი, ლატვია

დაწეულმა დონემ დინამოს შანსი დაწია

ახალი სეზონის დაწყებამდე საკმაო დრო, მაგრამ ეჭვგარეშეა, ქართული კლუბების მთავარი სამიზნეები „თბილისის“ ფეხბურთელები იქნებიან. კლუბის დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა გვითხრა, ჩვენს მოთამაშეებზე დიდი მოთხოვნილებაა, დღე არ გავა, რამდენიმე წინადადება არ მივიღოთო...



„ყველანაირად ვეცდები, ჩვენი ბიჭები კარგ კლუბებს მივყიდოთ. გამიხარდება, ერთმა სოლიდურმა გუნდმა „თბილისის“ 7-8 ფეხბურთელიც რომ შეიძინოს. ახლა ნოდარ ახალკაცთან შეხვედრას ველით: ავწონ-დავწონით, გვილირს თუ არა მომავალ სეზონში თამაში, მაგრამ რაც უნდა იყოს, ფეხბურთელებს მაინც გავუშვებთ“ — გვითხრა გუგეშაშვილმა.

მეკარე სოსო გრიშიკაშვილს ნორმალური სეზონი ჰქონდა, განსაკუთრებით კი მეორე ეტაპზე გამოირჩა და ალენ ჟირესმაც ნაკრებშიც მიიწვია. სოსომ გვითხრა, რამდენიმე კლუბთან მაქვს მოლაპარაკებები და სადაც უკეთესი პირობები იქნება, იქ გადავალო.

„კლუბებს ვერ დავასახელებ. გეტყვით, რომ დაინტერესებულია ლატვიური, რუსული და ქართული გუნდები, მათ შორის თბილისის „დინამოც“. გული უფრო უცხოეთისკენ მიმიწევს. არ მინდა, საქართველოს ჩემპიონატი დავაკნინო, მაგრამ ბოლო წლებში ჩვენთან დონემ დაიწია. მით უმეტეს, მეკარისთვის აჯობებს საზღვარგარეთ ვითამაშო. ერთი კია, ისეთ გუნდში არ გადავალ, გასავარდნად რომ ჰქონდეს საქმე. მარტო პირობებშიც არ არის საქმე, გუნდი გუნდად უნდა ვარგოდეს, თანაც ნაკრებში დამაბრუნეს და არ მინდა, ეს პატარა შანსი დავკარგო“.

გრიშიკაშვილმა ისიც დაამატა, ახალ სეზონს იმედიანად ვუყურებ, ღვთის მადლით, ტრავმები აღარ მაწუხებს, თორემ გამუდმებულმა ოპერაციებმა ისე დამტანჯა, ბოლო წლებში ზედიზედ 7-8 თამაში არ ჩამიტარებიაო.

გრიშიკაშვილს ქუთაისურ დაუმთავრებელ მატჩზეც ვთხოვეთ აზრის გამოთქმა:

„თამაშამდე ველოდით, რომ დაძაბული სიტუაცია იქნებოდა, მაგრამ ქვების სროლა მეტისმეტია. ჩვენს კარში გოლი წესების აშკარა დარღვევით გავიდა, რადგან ჩაწოდებამდე ხელი მკრეს. სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება კი უსამართლო იყო: ყველაზე სწორი ის იქნებოდა, დარჩენილი 5-6 წუთი გადაეთამაშებინათ, თუმცა ეს ჩვენთვის არაფერს ცვლიდა — ორი გოლის გამტანები ნაღდად არ ვიყავით. და მაინც ვერ გამიგია, ორივე გუნდისთვის წაგების ჩათვლა საიდან მოიტანეს, „ტორპედო“ ხომ იგებდა?! წესი წესია და ისეთი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღო, სალაპარაკო რომ გახდეს“ — გვითხრა გრიშიკაშვილმა.

ილია ნანობაშვილი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები



გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატამდე უკრაინელ ფეხბურთელებს და ოლეგ ბლოხინს ერთი გახარებაღა დარჩათ

ეს ხომ თითქმის გამარჯვებაა მეტი რაღა გინდა, ვეჭო

საბერძნეთი 0:1 უკრაინა

0:1 გუსინი (81)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, გუმასი (პაპადოპულოსი 85), ფისასი, კაპსისი (ვინტრა 57), ბასინასი, ზაგორაკისი, კარაგუნისი (ცარტასი 35), იანაკოპულოსი, ვრიზასი, ხარისტიასი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ეზერსკი, ფიოდოროვი, რუსოლი, გუსევი, ტიმოშჩუკი, გუსინი, ვორობეი (როტანი 56), ვორონინი (შელაევი 90), შევჩენკო (ბელიკი 90)

მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

გაფრთხილება: ფიოდოროვი (3), ნესმაჩნი (25), გუსინი (32), ვინტრა (85), გუსევი (90)

მსაჯი: ტემინკი (ჰოლანდია)

32 000 მაყურებელი

უკრაინა ცალი ფეხით მსოფლიოს ჩემპიონატზეა. ოლეგ ბლოხინის ბიჭებმა გუშინწინ პირეოსში 1:0 მოუგეს ბერძნებს და შესარჩევი ციკლის დასრულებამდე სამი ტურით ადრე შვიდქულიანი უპირატესობით ლიდერობენ ჯგუფში. ეს ხომ თითქმის გამარჯვებაა...

მატჩი ბერძნების სწრაფი შეტევებით დაიწყო. მასპინძლებს ოდენ მოგება უტოვებდა პირველ ადგილზე გასვლის შანსს და ოტო რეჰაგელმაც სწრაფ გოლზე დაგეშა შეგირდები, მაგრამ... ბერძნებმა შეტევაში ხეირი ვერ ნახეს — უკრაინელთა დაცვა თავის საქმეს ხუთიანზე აკეთებდა და შიგადაშიგ იქით ავიწროვებდა მეტოქეს — გრძელი პასი ანდრეი შევჩენკოზე და... საქმის ნახევარი გაკეთებულია. ყველამ იცის, რომ „შევა" ბერძენ მცველებს თავს აატკივებს...

ისე კი, ბერძნები მთლად უშანსოდაც არ ყოფილან — პირველი ტაიმის ორწუთიან მონაკვეთში ორჯერ შეეძლოთ გატანა — ზისის ვრიზასის სახიფათო დარტყმული ალექსანდრ შოვკოვსკიმ ფეხით ძლივს მოიგერია, გეორგიოს კარაგუნისმა კი ხელსაყრელი მდგომარეობიდან კარს აცილა. უკრაინელთა პასუხიც მწარე, მაგრამ უშედეგო გამოდგა: შევჩენკოს ჭკვიანურ პასს სერგეი ფიოდოროვი რიგიანად ვერ დაუხვდა და ხიფათიც განიმუხტა.

ტაიმის მიწურულს და შესვენების შემდეგ ბერძნებმა გოლებიც კი გაიტანეს, ოღონდ... სტელიოს იანაკოპულოსს და ანგელოს ხარისტიასს გვერდითმა მსაჯმა არ აცალა გახარება — თამაშგარე დააფიქსირა.

თამაშის სცენარი მერეც არ შეცვლილა. გეორგიოს კარაისკასის სახელობის სტადიონმა მხოლოდ 66-ე წუთზე იხუვლა, როცა ფისასი შეიჭრა უკრაინელთა საჯარიმოში, თუმცა დარტყმა არ გამოუვიდა ხეირიანი. მალე ვრიზასსაც მიეცა შანსი, მაგრამ შოვკოვსკის შეცდომით ვერ ისარგებლა.

85-ე წუთზე კი გასარკვევი გაირკვა: თითქოს ხიფათი არსაიდან ჩანდა, მაგრამ ანგელოს ბასინასი უწყინარ სიტუაციაში შეცდა და ანდრეი გუსინი მეკარეს შეატოვა — 0:1.

უკრაინას 23 ქულა აქვს და ერთი მოგებაღა აშორებს გერმანიასთან.

ძახა შალამბერიძე

ლარსენის ორმაგი მადლობა და ალბანელთა დანიური სენი

დანია 3:1 ალბანეთი

1:0, 2:0 ლარსენი (4, 46), 3:0 იორგენსენი (54), 3:1 ბოგდანი (72)

დანია: სორენსენი, პოულსენი, კროლდრუპი, ნილსენი, ნ. იენსენი, ჰელვეგი, გრავესენი (დ. იენსენი 58), ლარსენი, ტომასონი (პერესი 86), იორგენსენი, რომედალი (სილბერბაუერი 70)

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

ალბანეთი: ლიკა, ბეჩირი, ჰასი, ოსმანი, ალიაი, ჩანა, ლალა, ჯუბი (სინა 90), შკელა (დურო 66), ბოგდანი, ტარე (მურტაი 80)

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

გაფრთხილება: დურო (83)

დანიის ნაკრებმა მეორე ადგილზე გასვლის შანსი შეინარჩუნა. სკანდინავიელებმა ულაპარაკოდ მოუგეს შინ ალბანელებს და ცოტაც რომ გამართლებოდათ, ვინ იცის, ანგარიში ორნიშნა ყოფილიყო.

მატჩის გმირი კი სორენ ლარსენი გამოდგა — ახალგაზრდა თავდამსხმელი, ვინც ნაკრებში ოდენ მეორე მატჩს ატარებდა და დუბლი გააკეთა. მორტენ ოლსენმა ლარსენი პირველად 4 ივნისს, ფინეთთან ამხანაგურ მატჩში ათამაშა და კმაყოფილიც დარჩა. შვედური „იურგორდენის" ფორვარდმა, რომელიც შვედეთის ჩემპიონატში 8 მატჩში გატანილი 6 გოლით ბომბარდირობს, მეოთხე წუთზევე დაამწუხრა ალბანელები, როცა მარტინ იორგენსენისგან მიიღო ბურთი და მიზანში მოარტყა — 1:0.

მალე იორგენსენს თავადვე შეეძლო გატანა, მაგრამ არ გაუმართლა, იმავ ლარსენმა კი თავით ახლოდან ააცილა კარს, თუმც მეორე ტაიმის პირველივე წუთზე შეცდომა გამოასწორა და მეორედ გაიხარა — 2:0.

54-ე წუთზე იორგენსენმაც იყოჩაღა, როცა თომას ჰელვეგს დაუფასა გარჯა, რამდენიმე წუთში კი იონ დალ ტომასონმა პენალტი გააცუდა.

დანიელთა შეტევების წვიმას ალბანელებმა ეგრეთ წოდებული პრესტიჟის გოლითღა უპასუხეს — თავი ერიონ ბოგდანიმ გამოიჩინა.

ახლა დანიელებს 12 ქულა აქვთ და სამი ქულით ჩამორჩებიან მეორეადგილოსან თურქეთს, რომელსაც 3 სექტემბერს ხვდებიან. თანაც მორტენ ოლსენის გუნდს ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. ასე რომ, დანია პლეი ოფში გასვლის შანსს იოლად არ დათმობს.

ძახა შალამბერიძე



თომას გრავესენის (№7) დანიამ ალბანელებს ულაპარაკოდ მოუგო

თურქებმა იანალი ყაზახეთში დატოვეს

ყაზახეთი 0:6 თურქეთი

0:1 ფათიჰ თეკე (13), 0:2 ტორამანი (15), 0:3 სანლი (38), 0:4 ფათიჰ თეკე (80), 0:5 ალტინტოპი (88), 0:6 სანლი (90)

ყაზახეთი: ნოვიკოვი, ფამილცევი (სმაკოვი 62), ავდეევი, ლიაპკინი, დუბინსკი, ბალტიევი, კარპოვიჩი, ბაიანოვი (ჩიჩულინი 46), ნიზოვცევი, კროხმალი, როდიონოვი (ლარინი 73)

მწვრთნელი: სერგეი ტიმოფეევი

თურქეთი: ჩატკიჩი, თოლგა, ემრე (ბალჩი 73), უმითი, კარადენიზი (სერპათ აკინი 82), სანლი, ჰუსეინი, ალტინტოპი, ნეჯათი, ფათიჰ თეკე, ტორამანი

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

გაფრთხილება: სანლი (17)

თურქებმა უმოწყალოდ გაანადგურეს ბეჩავი ყაზახეთი და კვლავაც შეუნარჩუნეს პოსტი მთავარ მწვრთნელ ერსუნ იანალს, ვის მოხსნასაც ლამის მთელი საფეხბურთო თურქეთი ითხოვდა. ახლა კი საქმე სხვაგვარადაა, თურქებმა 6:0 მოიგეს, მეორე ადგილზე არიან და ასეთ დროს მწვრთნელის შეცვლა დიდ რისკთანაა დაკავშირებული.

ყაზახეთთან ერსუნ იანალმა გადახალისებული, შეიძლება ითქვას, სარეზერვო შემადგენლობა ათამაშა, თუმცა ამას მასპინძელთა შანსი ოდანვადაც არ გაუზრდია. თურქებმა მე-13 წუთზე დაიწყეს აზიელთა რბევა და საბოლოოდ, როგორც გითხარით, ექვსი გოლი გაიტანეს.

მატჩის მიმდინარეობის აღწერას აზრი არა აქვს — სტუმართა უპირატესობა უსაშველოდ დიდი იყო. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საუკეთესო ფეხბურთელად ორი გოლის გამტანი ფათიჰ თეკე აღიარეს.

ძახა შალამბერიძე

უკრაინა	9	7	2	0	15:3	23
თურქეთი	9	4	4	1	19:7	16
საბერძნეთი	9	4	3	2	12:7	15
დანია	8	3	3	2	13:8	12
ალბანეთი	9	3	0	6	7:16	9
საქართველო	7	1	2	4	10:16	5
ყაზახეთი	7	0	0	7	2:21	0

რონალდ კუმანი „ბენფიკაში" რიხით მივიდა

რა წაგება, რის წაგება

კუმანი ბენფიკას ოქროს ვერ ჰპირდება

ჰოლანდიელი რონალდ კუმანი უახლოესი სამი სეზონის განმავლობაში პორტუგალიური „ბენფიკას" დამრიგებელი იქნება.

„წინასწარ ვერაფერს შეგპირდებით, თუმცა ლისაბონში წასაგებად არ ჩამოვსულვარ და ჩვენი საერთო მიზანიც პორტუგალიის ჩემპიონობის შენარჩუნება და ევროპულ სარბიელზე შედეგიანი თამაში იქნება" — განუცხადა კუმანმა ლუზიტანიურ მედიას.

რონალდ კუმანმა „ბენფიკას" მწვრთნელის პოსტზე იტალიელი სპეციალისტი ჯოვანი ტრაპატონი შეცვალა, რომლის ხელმძღვანელობითაც ლისაბონურმა გრანდმა ოქრო მოიგო.

„რა თქმა უნდა, ტრაპატონის შედეგის გამეორება ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუსრულებელი" — იმედიანადაა კუმანი.

ჰოლანდიელს გუნდის გაწვრთნაში თანამემამულე ტონი ბრუინს სლოტი დაეხმარება, ვინაც მას „აიაქსშიც" გვერდში ედგა.

„მალე ხუთ ახალ ფეხბურთელს დავიმატებთ. „ბენფიკას" ქომაგებს კი ლალი, შემტევი ფეხბურთს ჩვენებას ვპირდები" — დასძინა ბოლოს კუმანმა.

ლადო ხომერიკი

სემი კუფური კარგი ფეხბურთის იმედად

„რომამ" დაადასტურა, რომ განელმა ვარსკვლავმა სამუელ კუფურმა მასთან კონტრაქტს მოაწერა ხელი და შესაბამისად, მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელი აღარ არის. კუფურისა და „ბაიერნის" ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, ხოლო რომაელებთან კონტრაქტს ძალა 2008 წლამდე ექნება

აღსანიშნავია, რომ კუფურთან კონტრაქტისა „ინტერსა" და „იუვენტუსსაც" ეიმედებოდათ, მაგრამ განელმა იტალიის დედაქალაქში წლიური 2,25 მილიონი დოლარის აღება ამჯობინა.

„მინდა საკუთარი ფეხბურთით ვისიამოვნო და „რომა" ამიტომ ვარჩიე — განაცხადა კუფურმა — იმისთვის, რომ ამ კლუბში მოვხვედრილიყავი, უფრო დიდ წინადადებებზე განვაცხადე უარი. ვიმეორებ, „რომა" დიადი კლუბია. ამასთან, სრულიად ბედნიერი ვარ, რომ ისეთი ფეხბურთელების მხარდამხარ მომიწევს თამაში, როგორებიც არიან ფრანჩესკო ტოტი, ანტონიო კასანო, ვინჩენცო მონტელა და კრისტიან კივუ".

ასე და ამგვარად, სამუელ კუფური „რომასთვის" მიმდინარე ზაფხულის უკვე მეორე შენაძენი გახდა — კუფურამდე „ჯალოროსიმ" „სიენასგან" ბრაზილიელი ნახევარმცველი როდრიგო ტადეი იყიდა.



სამუელ კუფური

აქვე გავიხსენოთ ისიც, რომ კუფურთან ერთად იტალიაში, ოღონდ „იუვენტუსში" სათამაშოდ გადაბარგდა „ბაიერნის" კიდევ ერთი [illegible], ხორვატი მცველი რობერტ კოვაჩი.

სამუელ კუფურის ყიდვა წელსაც კიდევ ერთ რამეს უნდა ნიშნავდეს: [illegible] სეზონის შემდეგ „რომას", ალბათ, მატეო ფერარი დატოვებს.

პაატუნა კედია

ხოაკინ კაპაროსი და „დეპორტივოს" პრეზიდენტი აუგუსტო სესარ ლენდოირო

კაპაროსი რიასორზე იხმაურებს

გალისიურ „დეპორტივოს" ახალი მწვრთნელი უკვე ოფიციალურად ჰყავს — ლაკორუნიულ გუნდს ამიერიდან „სევილიას" ექსთავკაცი ხოაკინ კაპაროსი უხელმძღვანელებს.

„ეს ჩემს კარიერაში ერთობ მნიშვნელოვანი დღეა. მე „დეპორში" ხმაურიანი გამარჯვებებისთვის მოვედი და, დარწმუნებული ვარ, გუნდს მალე ძველ დიდებას დავუბრუნებ" — განაცხადა ახალდანიშნულმა ოფიციალურ პრეზენტაციაზე.

გამოცდილი კაპაროსი „დეპორტივოში" მისვლამდე ხუთი წლის მანძილზე საქმიანობდა „სევილიაში" და შეუპოვარი ხასიათით იქაურთა პატივისცემა დაიმსახურა. ანდალუზიური კლუბის პრეზიდენტ დელ ნიდოსაც, რა თქმა უნდა, ეწადა მასთან კონტრაქტის გაგრძელება, მაგრამ...

ხოაკინ კაპაროსი „ესტადიო რიასორზე" ჯერჯერობით ერთი წლით დარჩება და ამ ხნის განმავლობაში 1 მილიონ ევროს ჩაიჯიბავს.

კაპაროსის ოფიციალური დებიუტი ახალ გუნდში ივლისში, ინტერტოტოს თასზე შედგება, საიდანაც „დეპორტივო" უეფას თასზეც გადასვლას ეცდება.

ლადო ხომერიკი

ხუმარა იუვენტუსი

მოცარტი კი არა, ბეთჰოვენი

ჯულიანო ჯანიკედამ ტურინელ ექიმებთან შემოწმება გაიარა და „ბებერი ქალბატონის" წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ იგი მომავალ სეზონს „დელე ალპიზე" გაატარებს. ოფიციალური განცხადება სავარაუდოდ, კვირის ბოლოს გაკეთდება. შეგახსენებთ, რომ რობერტ კოვაჩმა სამედიცინო შემოწმება წინა კვირას გაიარა და მასაც არვითარი პრობლემა არ შექმნია.

„იუვენტუსის" ფრანგმა ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ კი ერთხელაც თქვა, რომ არსად არ მიდის, თუმცა პრესაში ჭორები მაინც არ წყდება.

„ჩვენ ჩემპიონთა ლიგის მოგება გვინდა და ამისთვის მზად ვართ. შემიძლია, ასჯერ გავიმეორო, რომ ვრჩები. ჭორებს ყურს ნუ დაუგდებთ. იმედია, კლუბში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდება, რადგანაც შემადგენლობას მცირე გადახალისება სჭირდება" — აღნიშნა ტრეზეგემ.

ახალ სახეებთან დაკავშირებით ჰკითხეს ლუჩანო მოჯისაც. კერძოდ, რეჯინელი მოცარტის შესაძლო ტრანსფერის თაობაზე, მაგრამ ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა კონკრეტულ პასუხს თავი ამჯერადაც აარიდა და იხუმრა — „ჩვენ მართლაც მოგვწონს მოცარტი, მაგრამ არანაკლებ მოგვწონს ბეთჰოვენიც"...

გიორგი ძაძამიძე

ჯულიანო ჯანიკედამ „იუვენტუსში" სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა



ლივერპულმა ჰამანი დაიტოვა

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა „ლივერპულმა" გერმანელ დიტმარ ჰამანთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა.

შეგახსენებთ, რომ 31 წლის ნახევარმცველი გუნდის გამოცვლაზე ფიქრობდა, მაგრამ „მილანთან" ფინალური მატჩის შემდეგ ვითარება შეიცვალა და მხარეებმა მალევე გამონახეს საერთო ენა.

დიტმარ ჰამანი: „ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემს მომავალზე პირველ რიგში „ლივერპულს" დაველაპარაკებოდი, რადგანაც დარჩენა მინდა. მიხარია, რომ მწვრთნელიც მენდობა და იმედია, ამ სეზონის მერეც „ენფილდზე ვითამაშებ".

ამასობაში, მერსისაიდელებს სავარაუდოდ, იგორ ბიშკანი დატოვებს. ხორვატმა გასული სეზონი აშკარად ჩააგდო და კლუბის ხელმძღვანელობა მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას ამად არ აპირებს.

მილან ბაროშის მომავალი კი ჯერ ისევ გაურკვეველია. მოგეხსენებათ, ჩეხი ფრანგულ „ლიონთან" აწარმოებს მოლაპარაკებას და მისით კიდევ არაერთი კლუბია დაინტერესებული.

გიორგი ძაძამიძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ზოგჯერ ჟურნალისტებსაც დაუჯერეთ
ესპანეთის მცველი მცველი

VII ჯგუფი. VII ტური

ესპანეთი 1:1 ბოსნია

0:1 მისიმოვიჩი (39), 1:1 მარჩენა (90)
ესპანეთი: კასილიასი, მარჩენა, სალგადო, პუიოლი (ხუანიტო 9), ა. ლოპესი, ალბელდა, ხავი, ვისენტე, ხოაკინი (ხაბი ალონსო 63), რაული, ფ. ტორესი (ლუკე 35)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ბოსნია: ტოლჯა, სპაჰიჩი, ბაირამოვიჩი, ვიდიჩი (მილენკოვიჩი 77), მუსიჩი, გრლიჩი, გრუიჩი (დამიანოვიჩი 75), ბარბარესი, ბესლია, ბაიჩი, მისიმოვიჩი (ჰალილოვიჩი 65)
მწვრთნელი: ბლაჟ სლიშკოვიჩი
გაფრთხილება: სპაჰიჩი, ბაიჩი, ბესლია, გრლიჩი, დამიანოვიჩი, მუსიჩი, ალბელდა, ჰალილოვიჩი, ჰალილოვიჩი, ბესლია
გაძევება: ჰალილოვიჩი (88), ბესლია (90)
მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)
36 400 მაყურებელი

AFP ფოტოსურათი

ბოსნიელებმა ესპანელები კინაღამ გაჭყლიტეს

ვიდრე თამაშის მიმოხილვას შევუდგებოდეთ, გავიხსენოთ, რომ 4 ივნისს, ლიტვის ნაკრებთან უსუსური მატჩის შემდეგ (ის შეხვედრა ლუის არაგონესის შეგირდებმა 1:0 მოიგეს) პირინეული მედია აცხადებდა, ამ თამაშით ბალტიისპირელები კი დავამარცხეთ, მაგრამ არგენტინისა და ბრაზილიის დონის გუნდებთან ჩავფლავდებითო.

და აი, გუშინწინდელმა მატჩმა ჟურნალისტთა ვარაუდის სისწორეში დაგვარწმუნა: მსოფლიო დონის გრანდებს ვინ ჩივის, ესპანეთმა ვალენსიაში „მესტალიაზე" უსახურ ბოსნიას ქულა ოდენ მსაჯის მიერ წამატებული დროის მიწურულს გამოჰგლიჯა. რომ არა, კარლოს მარჩენას 95-ე წუთზე გატანილი გოლი...

შეხვედრა მასპინძელთა მძაფრი იერიშებით დაიწყო. აქედანვე, აღვნიშნოთ, რომ უსინდისობა იქნება ესპანეთის უნდილ გარჯაში დადანაშაულება, ბოლოს და ბოლოს ბოსნიელთა კარი ოცზე მეტი სახიფათო დარტყმით დაიბომბა, თუმცა...

„ნაკრების თავდასხმაში მწვრთნელის ფავორიტად კვლავაც ფერნანდო ტორესი რჩება, მაგრამ იგი მნიშვნელოვან მატჩებში არა და ვერ ახერხებს გოლის გატანას" — ვკითხულობთ გუშინდელ „მარკაში".

და მართლაც: ატლეტიკოელმა ტორესმა ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა ვერ გაიტანა, მერე ძელს მოარტყა ბურთი, ხოლო მომდევნო ეპიზოდში, საჯარიმოში შეჭრილს მცველებმა ბურთი ფეხიდან ბავშვივით აალეს. ყველაფერ ამას კი 35-ე წუთზე ტრავმაც თან დაერთო. ლუის არაგონესიც იძულებული გახდა, მის ნაცვლად მოედანზე ალბერტ ლუკე შეეყვანა.

ლიტვასთან, წინა შეხვედრაში, გამარჯვების გოლის გამტანმა პრაქტიკულად ხეირიანად ბურთის მიღებაც ვერ მოასწრო, რომ ტაბლოზე ადგილობრივ ინჩასთა სამწუხაროდ 0:1 აინთო — 38-ე წუთზე საკუთარ საჯარიმოში მარჩენასა და ალბელდას ბურთი ფეხებში ებლანდათ, რითაც მისიმოვიჩმა ისარგებლა და კასილიასს აუღებელი დაურტყა.

მეორე ტაიმში მასპინძლები, ცხადია, გაცხარებით უტევდნენ, თუმც ხან ბოსნიელი მცველები ყოჩაღობდნენ, ხანაც კიდევ ესპანელები ვერ ისწორებდნენ მიზანს.

მაგრამ, მარჩენამ მაინც ვერ მოისვენა და ბოლოს ის გოლი გაიტანა, რომელზედაც ზემოთ გითხარით — ვალენსიელმა უკანახაზელმა მეკარე ტოლჯას კართან შექმნილ არეულობაში ლრიჭო მოძებნა და გაათანაბრა.

„ურთულესი მატჩი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი თამაშის მანძილზე საგრძნობ უპირატესობას ვფლობდით, ვერ მოვიგეთ კი არა, ქულაც ძლივს მოვიპოვეთ. მომდევნო შეხვედრებისთვის ნაკრებში გარკვეულ ცვლილებებს იხილავთ" — თქვა ლუის არაგონესმა ნამატჩევს.

ბოსნიელთა თავკაც ბლაზ სლიშკოვიჩს კი ბევრი არ ულაპარაკია. ემოციებისგან დაცლილმა ისღა თქვა, თითქმის მოგებული თამაშის ვერმოგება მეწყინაო.

ლადო ხომერიკი

ესპანეთი	7	3	4	0	10:2	13
სერბეთი	6	3	3	0	10:0	12
ლიტვა	6	2	3	1	7:3	9
ბელგია	6	2	2	2	7:7	8
ბოსნია	6	1	4	1	7:8	7
სან მარინო	7	0	0	7	2:23	0

I ჯგუფი. IX ტური

ფინეთი 0:4 ჰოლანდია

0:1 ვან ნისტელროი (36), 0:2 კუიტი (77), 0:3 კოკუ (85), 0:4 ვან პერსი (87)

ჩეხეთი 6:1 მაკედონია

0:1 პანდევი (14), 1:1 კოლერი (42), 2:1 ბაროში (45), 3:1, 4:1 კოლერი (49, 53), 5:1 როსიცკი (513), 6:1 ბაროში (88)

რუმინეთი 3:0 სომხეთი

1:0 პეტრე (29), 2:0, 3:0 ბუკური (40, 78)

ჰოლანდია	8	7	1	0	20:3	22
ჩეხეთი	8	7	0	1	28:7	21
რუმინეთი	9	5	1	3	15:10	16
ფინეთი	7	3	0	4	13:14	9
მაკედონია	9	2	2	5	10:16	8
სომხეთი	9	1	1	7	5:20	4
ანდორა	8	1	1	6	4:25	4

III ჯგუფი. IX ტური

ესტონეთი 0:1 პორტუგალია

0:1 კ. რონალდო (31)

ლუქსემბურგი 0:4 სლოვაკეთი

0:1 ნემეტი (5), 0:2 მინტალი (15), 0:3 კისელი (54), 0:4 რეიტერი (60)

პორტუგალია	8	6	2	0	24:4	20
სლოვაკეთი	8	5	2	1	22:7	17
რუსეთი	7	4	2	1	15:10	14
ლატვია	8	4	1	3	15:14	13
ესტონეთი	9	3	2	4	12:15	11
ლიხტენშტეინი	8	1	1	6	9:19	4
ლუქსემბურგი	8	0	0	8	4:32	0

V ჯგუფი. VI ტური

ბელარუსი 0:0 შოტლანდია

იტალია	6	4	1	1	9:5	13
ნორვეგია	6	2	3	1	6:3	9
სლოვენია	6	2	3	1	6:5	9
ბელარუსი	6	1	4	1	10:7	7
შოტლანდია	6	1	3	2	3:4	6
მოლდოვა	6	0	2	4	1:11	2

IV ჯგუფი. VII ტური

ფარერები 0:2 ირლანდია

0:1 ჰარტი (513), 0:2 კილბეინი (58)

ირლანდია	7	3	4	0	11:4	13
შვეიცარია	6	3	3	0	13:4	12
ისრაელი	7	2	5	0	10:8	11
საფრანგეთი	6	2	4	0	5:1	10
კვიპროსი	6	0	1	5	4:12	1
ფარერები	6	0	1	5	3:17	1

VIII ჯგუფი. VII ტური

ისლანდია 4:1 მალტა

1:0 ტორვალდსონი (27), 2:0 გუდიონსენი (34), 2:1 სეიდი (59), 3:1 გუდმუნდსონი (75), 4:1 გუნარსონი (86)

ხორვატია	6	5	1	0	16:3	16
შვედეთი	6	5	0	1	23:2	15
უნგრეთი	6	3	1	2	9:11	10
ბულგარეთი	6	2	2	2	11:11	8
ისლანდია	7	1	1	5	10:18	4
მალტა	7	0	1	6	2:26	1

ამხანაგური მატჩი

იტალიელები თვითმფრინავსა და კანადაში
ლუკარელის ნატვრისგოლი

იტალია 1:1 სერბეთი

0:1 ჟიგიჩი (25), 1:1 ლუკარელი (38)
იტალია: პერუცი, ძაკარდო, ბარძალი, ოდო (გროსო 46), კიელინი (ბრიენძა 64), ესპოზიტო (მესტო 35), ბარონე, ბლაზი, მაური (კოპოლა 46), ტონი (კ. ლუკარელი 46), იაკინტა (დი მიკელე 67)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
სერბეთი: კოვაჩევიჩი, დუდიჩი, ჯორჯევიჩი (კორომანი 81), ბასა (ივანოვიჩი 77), რნჩიჩი, მარიჩი, ბრნოვიჩი, მლადენოვიჩი (ტრაიკოვიჩი 57), ვუკჩევიჩი, ჟიგიჩი, ვუჩინიჩი (იესტროვიჩი 36)
მწვრთნელი: ილია პეტკოვიჩი
გაძევება: ბლაზი (31)
მსაჯი: მარკ დეპიერო (კანადა)
35 000 მაყურებელი

სერბეთის ნაკრებმა მოედანზე ათი კაცით დარჩენილმა „სკუადრა ძურამ" გამარჯვება არ დაანება და დებიუტანტის, კრისტიანო ლუკარელის გოლით შეხვედრა 1:1 დაუმთავრა. ხსენებული გოლი 83-ე წუთზე გავიდა, როდესაც ფაბიო გროსო მარცხენა ფრთიდან შევარდა სერბთა საჯარიმოში და ლუკარელის მოხერხებული საგოლე პასი მიაწოდა. აღსანიშნავია, რომ მანამდე, 75-ე წუთზე საუცხოო საგოლე მომენტი ჰქონდა დავიდე დი მიკელეს, მაგრამ მისი დიაგონალური დარტყმა მეკარემ ასევე საუცხოოდ მოიგერია.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ იტალიელთა მწვრთნელ მარჩელო ლიპის, მორიგი ექსპერიმენტული შემადგენლობა ჰყავდა მოედანზე გაყვანილი და ეს ბუნებრივიც გახლდათ, რადგან მძიმე სეზონის შემდეგ საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელები შინ დარჩნენ. ამის გამო იყო, ალბათ, ის, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ტექნიკის თვალსაზრისით, უპირატესობა ყოფილ სოციალისტებს ჰქონდათ. თანაც სერბები გამორჩეული ნიჭით გახლავან დაჯილდოვებულნი.

პირველი სახიფათო მომენტი „ლეჩეს" სერბი ფორვარდის, მირკო ვუჩინიჩის მეცადინეობით შეიქმნა: მისი პასით მე-12 წუთზე ჟიგიჩს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ანჯელო პერუციმ იყოჩაღა. პერუციმვე, მალე თავად ვუჩინიჩს აუღო სახიფათოდ დარტყმული, ხოლო ამ ორი მომენტის შემდეგ, იტალიელთათვის სავალალო ამბავთა მწკრივში ჟიგიჩის გოლის ჯერი დადგა. მანუელე ბლაზის გაძევება უკვე ამას დაემატა, როგორც ცეცხლს ნავთი. გაძევების მიზეზი: ორი ყვითელი.

კრისტიანო ლუკარელიმ (მარცხნივ) სერბებს ასე გაუთანაბრა

შესვენებისას მარჩელო ლიპიმ ბევრი ცვლილება განახორციელა და გუნდის თამაში გადააწყო, მაგრამ ამის მიუხედავად, სერბებს კიდევ შეეძლოთ გოლის გატანა. მეორე მხრივ, საბოლოო შედეგის ამბავი ვიცით და ამასთან, უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ იტალიელები სამშობლოდან კანადაში, წინა დღის ჩასულები იყვნენ.

და ბოლოს, კრისტიანო ლუკარელის შესახებ: 30 წლის ფეხბურთელმა ნატვრა აიხდინა, ნაკრებში მიიწვიეს და სადებიუტო შეხვედრაშივე გოლი გაიტანა.

„ამ გოლს საგანგებო გემო აქვს, ვინაიდან მისი გატანა ბავშვობიდან ოცნებად მქონდა ქცეული. და აი, ბავშვობის ოცნება კაცობაში ამიხდა — განაცხადა ლუკარელიმ — ახლა მარჩელო ლიპიზეა დამოკიდებული, გამომიძახებს კიდევ ნაკრებში თუ არა".

ლიპიმ კი თამაში მოკლედ ასე შეაფასა: „ფრეს ვიმსახურებდით. ბოლოს და ბოლოს, გუშინ ათი საათი თვითმფრინავში ვისხედით, რაც გასათვალისწინებელია. მერედა, ორი უსარგებლო ჯარიმის გამო, მოედანზე იმთავითვე ათნი დავრჩით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნებისყოფა მოვიკრიბეთ და გავათანაბრეთ ანგარიში".

ბაჩუნა ძიძია

ამხანაგური მატჩი

რუსების სიურპრიზი

ლამაზი და ლაღი ფრე

გერმანია 2:2 რუსეთი

0:1 ანიუკოვი (26), 1:1, 2:1 შვაინსტაიგერი (30, 69), 2:2 კერჟაკოვი (90)

გერმანია: კანი, ფრიდრიხი, ჰინკელი (დაისლერი 46), მერტესაკერი, ჰიცლშპერგერი, ფრინგსი, ბ. შნაიდერი, შვაინსტაიგერი (კურანი 84), ბალაკი, ასამოა (მ ანკე 62), პოდოლსკი (ფ. ერნსტი 84)

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

რუსეთი: ოვჩინიკოვი, სენიკოვი, ვ. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, ანიუკოვი, ევსეევი, ალდონინი, ჟირკოვი (კერჟაკოვი 46), იზმაილოვი (სემაკი 10), ლოსკოვი, სიჩოვი (არშავინი 74)

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: სემაკი, სენიკოვი, ჰინკელი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

46 228 მაყურებელი

რუსებთან მატჩი გერმანელთათვის კონფედერაციის თასის წინ გენერალური რეპეტიცია გახლდათ.

მოგეხსენებათ, ბუნდესნაკრების თავკაცი იურგენ კლინსმანი ამ ტურნირს და ნებისმიერ ამხანაგურ მატჩს ძალიან სერიოზულად უდგება, რადგანაც ნაკრების ძირითად ბირთვს სწორედ ახლა არჩევს — მუნდიალამდე ხომ სულ რაღაც ერთი წელი დარჩა.

კლინსმანმა აქცენტი ისევ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთა, რომლებიც ამჯერადაც კარგად გამოიყურებოდნენ და მთლიანობაში გერმანელებმა, მიუხედავად შედეგისა, სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს. იგივე ითქმის სტუმრებზედაც: იური სიომინის შეგირდები მშვენივრად თამაშობდნენ და საბოლოოდ საარაკო ფრესაც გამოჰკრეს ხელი.

მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ საგოლე მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა. 26-ე წუთზე კი სტუმართა კონტრშეტევას ლოგიკური დასასრული მოჰყვა — დმიტრი სიჩოვის კარგი პასით ალექსანდრ ანიუკოვმა ისარგებლა, რომელმაც ოლივერ კანს ფეხებშუა გაუტარა ბურთი.

გერმანელები ამან არ დააბნია და ბასტიან შვაინსტაიგერმა, რომელმაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა, ოთხ წუთში წონასწორობა აღადგინა, ხოლო 69-ე წუთზე „ბაიერნის“ 20 წლის ნახევარმცველი ორ მეტოქეს გასცდა და ახლო კუთხეში ზუსტად დაურტყა ოვჩინიკოვს.

მასპინძლები დარჩენილ დროშიც დომინირებდნენ, მაგრამ მესამე გოლის გატანა ვეღარ შეძლეს. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში კი გერმანელი მცველები შეცდნენ, რაც კარგად გამოიყენეს რუსებმა — ანდრეი არშავინმა ძალიან მახვილი კუთხიდან ბურთი კარისკენ ჩაჭრა, რომელსაც ეგებ თავადაც გადაეკვეთა ხაზი, მაგრამ ალექსანდრ კერჟაკოვმა ფეხი მიახმარა და ანგარიში გაათანაბრა.

იურგენ კლინსმანი: „სამწუხაროა, რომ მოგება ვერ შევძელით, მაგრამ ახალგაზრდების თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება ბალაკს, მან ჩვეულად ვერ გაიბრწყინა, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს. რუსებმა იცოდნენ, რომ მიხაელი ჩვენი ლიდერია და ორი მცველი მიამაგრეს. სამაგიეროდ, სხვა მოთამაშეებს გაეხსნათ სივრცე“.

გიორგი ძაძამიძე

ბასტიან შვაინსტაიგერმა (№7) რუსებს ორი გოლი გაუტანა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

V ტური

მექსიკა 2:0 ტრინიდადი

პანამა 0:3 აშშ

კოსტა რიკა 3:2 გვატემალა

მექსიკა	5	4	1	0	9:3	13
აშშ	5	4	0	1	11:3	12
კოსტა რიკა	5	2	1	2	6:8	7
გვატემალა	5	1	1	3	7:8	4
ტრინიდადი	5	1	1	3	4:9	4
პანამა	5	0	2	3	2:8	2

ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005

A ჯგუფი. II ტური

დანია 2:1 ინგლისი

შვედეთი 0:0 ფინეთი

დანია	2	1	1	0	3:2	4
ინგლისი	2	1	0	1	4:4	3
შვედეთი	2	0	2	0	1:1	2
ფინეთი	2	0	1	1	2:3	1

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია

I ჯგუფი. V ტური

ქუვეითი 0:4 სამხრეთ კორეა

საუდის არაბეთი 3:0 უზბეკეთი

საუდ.არაბეთი	5	3	2	0	9:1	11
სამხ. კორეა	5	3	1	1	9:4	10
ქუვეითი	5	1	1	3	2:10	4
უზბეკეთი	5	0	2	3	4:9	2

II ჯგუფი. V ტური

ჩრდილოეთ კორეა 0:2 იაპონია

ირანი 1:0 ბაჰრეინი

ირანი	5	4	1	0	6:1	13
იაპონია	5	4	0	1	7:3	12
ბაჰრეინი	5	1	1	3	2:4	4
ჩრდ. კორეა	5	0	0	5	2:9	0

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

AFP

ბრაზილია ხუან რომან რიკელმეს (№8) ჩინებულმა თამაშმა გააცამტვერა

კოშმარული რევანში

მუნდიალზე ბრაზილიის გა(და)ვლით

XV ტური

არგენტინა 3:1 ბრაზილია

1:0 კრესპო (4), 2:0 რიკელმე (18), 3:0 კრესპო (40), 3:1 რობერტო კარლოსი (71)

არგენტინა: აბონდანსიერი, კოლოჩინი, ჰაინცე, აიალა, მასკერანო, სორინი, ლ. გონსალესი (ხ. ძანეტი 70), კ. გონსალესი, რიკელმე, სავიოლა (ტევესი 82), კრესპო

მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი

ბრაზილია: დიდა, ჟუანი, როკე ჟუნიორი, კაფუ, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ზე რობერტო, კაკა, რონალდინიო, რენატო (რობინიო 61), ადრიანო

მწვრთნელი: კარლოს ალბერტო პარეირა

გაფრთხილება: კაფუ, რონალდინიო, სორინი, როკე ჟუნიორი, ჰაინცე

მსაჯი: გუსტავო მენდესი (ურუგვაი)

60 000 მაყურებელი

კოლუმბია 3:0 ეკვადორი

1:0, 2:0 მორენო (6, 9), 3:0 არსუაგა (70)

ჩილე 2:1 ვენესუელა

1:0, 2:0 ხიმენესი (30, 60), 2:1 მორანი (82)

პარაგვაი 4:1 ბოლივია

1:0 გამარა (17), 1:1 გალინდო (31), 2:1 სანტა კრუზი (45), 3:1 კასკერო (55), 4:1 ნუნიესი (69)

პერუ 0:0 ურუგვაი

არგენტინის უამრავ თავგადაკლულ ქომაგს ოცნება აუხდა — მათმა ნაკრებმა საძულველ მეტოქეს კიდევ ერთხელ მოუგო, პირველ წრეში მარცხისთვის სრულფასოვნად იძია შური რევანში აიღო და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური გაინაღდა.

60 ათასი გულშემატკივარი კი უშუალოდ „მონუმენტალზე“ იყო და მთელი შეხვედრის მანძილზე გაუჩერებლად გუგუნებდა. მატჩის შემდეგ ფანებმაც და მოთამაშეებმაც ერთად გაიხარეს.

მატჩი თავიდანვე მასპინძელთათვის სასურველი სცენარით დაიწყო, რომლებმაც უკვე მე-4 წუთზე შეძლეს დაწინაურება — ხუან რომან რიკელმემ ლუის გონსალესი მონახა, რომლისგანაც ფრიად ჭკვიანური პასი ერნან კრესპომ მიიღო და „მილანის“ ფორვარდმაც უნაკლოდ დაარტყა.

კოშმარულმა დებიუტმა ბრაზილიელები აშკარად დააბნია და მასპინძლებმაც დაწოლა გააძლიერეს. ამან შედეგი მალევე გამოიღო — რიკელმემ შორეული და ძლიერი დარტყმით შანსი არ დაუტოვა დიდას.

ოცწუთიანი აფეთქების შემდეგ მასპინძლები შედარებით დაწყნარდნენ და სტუმრებმაც ნელ-ნელა გონს მოსვლა დაიწყეს. თუმც კაკას, რონალდინიოსა და კაფუს მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. საქმე რეალურ სახიფათო მომენტამდეც არ მიდიოდა.

ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კი არგენტინელებმა გადამწყვეტი, მკვლელი დარტყმა მიაყენეს მეტოქეს. საგოლე იერიში კვლავ ბრწყინვალედ მოთამაშე ხუან რომან რიკელმემ წამოიწყო — „ვილიარეალის“ შემტევმა ნახევარმცველმა ზუსტი პასით ამჯერად ხავიერ სავიოლა მოამარაგა, რომელმაც ბურთი თავზე დაასვა იმავ კრესპოს და არგენტინელთა ფორვარდმაც დუბლი გაიფორმა.

გულშემატკივართა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ეიფორიაში იყვნენ თავად ფეხბურთელებიც. თუმც, როგორც ჩანს, ხოსე პეკერმანმა შესვენებაზე მოთამაშეები გვარიანად დაარიგა და დაამშვიდა. მეორე ნახევარში მინდორზე სულ სხვა, აშკარად დაცვიდან მოთამაშე არგენტინა ვიხილეთ.

მასპინძლები შეტევებზე მაინცდამაინც აღარ ფიქრობდნენ და თავს ჭკვიანურად იცავდნენ, აქედან გამომდინარე, ბრაზილია სრულ უპირატესობას დაეუფლა.

გოლის გატანის კარგი შანსი ჰქონდათ რონალდინიოსა და კაკას. ცოტა ხანში მომენტები ზე რობერტოსა და კაფუსაც შეექმნათ, მაგრამ ვერც მათ იხეირეს.

ბრაზილიელებს რობერტო კარლოსმა უშველა, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი მაღალი კლასი — „რეალის“ მცველმა საკმაოდ შორეული საჯარიმო დარტყმა ჩვეულ სტილში შეასრულა და მეკარე რობერტო აბონდანსიერი უქმად დატოვა. მთლიანობაში რობერტო კარლოსი სტუმართა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და არა მხოლოდ ბრწყინვალე გოლის გამო.

დარჩენილ დროში პენტაკამპეონები ყველაფერს აკეთებდნენ, სხვაობის კიდევ უფრო შესამცირებლად და რამდენიმე მომენტიც ჰქონდათ. ყველაზე რეალური შანსი კი ბოლო წუთებზე ადრიანომ გაანიავა. „ინტერის“ თავდამსხმელმა დაახლოებით ექვსიოდ მეტრიდან ბურთი ძელს გაარტყა.

ხოსე პეკერმანი: „მინდა, ყველას დიდი მადლობა გადავუხადო და ბრწყინვალე გამარჯვება მივულოცო, მათ შორის ჩემს წინამორბედ მარსელო ბიელსას და მის სამწვრთნელო შტაბს, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ახალი ნაკრების ჩამოყალიბებაში“.

„მეტოქემ დამსახურებულად მოიგო, მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენი შანსები ოდნავ უკეთ რომ გამოგვეყენებინა, სხვანაირ შედეგს მივიღებდით. სამწუხაროდ, ამ მატჩისთვის ბოლომდე კონცენტრირება ვერ შევძელით, რადგანაც მუნდიალის საგზური 99 პროცენტით განაღდებული გვქონდა“ — აღნიშნა ბრაზილიელთა თავკაცმა კარლოს ალბერტო პარეირამ.

ახლა სხვა მატჩებზეც ვთქვათ. მე-15 ტურმა ყველაფერი კიდევ უფრო ჩახლართა. მართალია, პირველი ორი ადგილის ვინაობა, ფაქტობრივად, ცნობილია, მაგრამ დანარჩენი საგზურებისთვის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს.

ეკვადორი უშანსოდ დამარცხდა კოლუმბიასთან და თავს ისე მშვიდად ვეღარ გრძნობს, რადგანაც უკვე სამი მდევარი დაადგა კუდზე. უნდა აღვნიშნოთ მორენოს კიდევ ერთი დუბლი თანაც კოლუმბიელმა ფორვარდმა ორი გოლის გატანა სამი წუთის ინტერვალში, შეხვედრის დებიუტშივე მოასწრო.

დუბლით გამოირჩა ჩილელი ხიმენესიც, რომელმაც თავის ნაკრებს ვენესუელასთან მოაგებინა.

პერუმ და ურუგვაიმ კი უგოლოდ იბურთავეს. ეს შედეგი არც ერთ გუნდს არ აძლევდა ხელს, თუმც ურუგვაელები კიდევ ინარჩუნებენ გარკვეულ შანსებს.

პარაგვაიმ იმავე ანგარიშით სძლია ბოლივიას, როგორითაც რამდენიმე დღის წინ, ბრაზილიასთან დამარცხდა. მასპინძლებმა მშვენივრად ითამაშეს და ეკვადორს მიუჩოჩდნენ. ბოლო ადგილზე გამაგრებულ ბოლივიელებს კი შეუძლიათ, თავი იმით დაიმშვიდონ, რომ მე-15 ტურის საუკეთესო გოლი გაიტანეს — გონსალო გალინდომ დაახლოებით 30 მეტრიდან ბრწყინვალე დარტყმულით აიღო ხუსტო ვილარის კარი.

გიორგი ძაძამიძე

არგენტინა	15	9	4	2	27:15	31
ბრაზილია	15	7	6	2	26:16	27
ეკვადორი	15	7	2	6	21:18	23
პარაგვაი	15	6	4	5	21:22	22
კოლუმბია	15	5	5	5	20:12	20
ჩილე	15	5	5	5	17:16	20
ურუგვაი	15	4	6	5	19:26	18
პერუ	15	3	6	6	15:21	15
ვენესუელა	15	4	3	8	16:23	15
ბოლივია	15	4	1	10	17:30	13

ესპანეთი. პრიმერადივიზიონი 2004-2005
მიმოხილვა. პოტენციალი

იქ, სადაც ბარსელონა და რეალია...

ზინედინ ზიდანის „რეალმა" და ლუდოვიკ ჟიულის „ბარსელონამ" ერთმანეთს საშინაო თამაშები მოუგეს

ახლა, როცა სეზონის შეჯამების საშუალება გვაქვს, თვალის ერთი გადავლებით, რამდენიმე გარემოება გვახსენდება.

პირველი და მთავარი ის, რომ „ბარსელონას" კონკურენტი არ ჰყოლია და სეზონის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე მის ჩემპიონობაში ეჭვი ვინძლო ბევრს აღარ შეჰპარვია.

ამის გარდა, „რეალში" მიმდინარე არცთუ სასიამოვნო ამბები იყო. მწვრთნელთა ცვლის გახშირებული პროცესი და ხშირი ჩავარდნები. შეიძლება ითქვას, „რეალმა" ამ სეზონში ერთადერთი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა, როცა „სანტიაგო ბერნაბეუზე" მომავალი ჩემპიონი დასცა 4:2.

გასაკვირი გახლდათ ყოფილი ჩემპიონის და შარშან უეფას თასის მომგები „ვალენსიას" უნიათო თამაშიც. ერთია, რომ ჩემპიონატში, რომელშიც „ბარსელონა" და „რეალი" მონაწილეობენ, სხვა გუნდების ზედიზედ ორჯერ ჩემპიონობა თითქმის წარმოუდგენელი რამაა, მაგრამ აქ ჩემპიონობაზეც არ არის ლაპარაკი — „ვალენსია" ჩემპიონთა ლიგას ვინ ჩივის, უეფას თასზეც კი ვერ მოხვდა და ამ გუნდისთვის ინტერტოტოზე თამაში დიდი ვერაფერი ნუგეშია.

ხოლო თუ ვიკითხავთ, რა მოხდა „ვალენსიაში" ამ ერთ წელიწადში ისეთი, რომ გუნდი ასე დაკნინდა, პირველ რიგში ის გვახსენდება, რომ იქიდან მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი წავიდა. ის გუნდი კი, სადაც ბენიტესი მივიდა, მოგეხსენებათ, ევროპის საკლუბო ჩემპიონი გახდა.

უთუოდ უნდა ვახსენოთ „ვილიარეალიც". სიმართლე გითხრათ, გვეგონა, რომ ეს უსიმპათიურესი გუნდი უეფას თასის ფინალში ითამაშებდა, მაგრამ გზა მეოთხედფინალში შეწყვიტა.

არა უშავს, ამ ზაფხულს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩაჯდომას ეცდება და ვინძლო, მოახერხოს კიდეც. „ვილიარეალის" სიმპათიურობას კი უპირველესად დიეგო ფორლანისა და ხუან რომან რიკელმეს დიდებული თამაში განაპირობებს.

„მალიორკა" ძლივს გადაურჩა გავარდნას: ბოლო ტურამდე ექტორ რაულ კუპერის გუნდის ბედი გაურკვეველი იყო. არადა, თუ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ სწორედ კუპერი იყო ის მწვრთნელი, „მალიორკა" ანგარიშგასაწევ კლუბად რომ აქცია.

უეფას თასზე ითამაშებენ „სევილია" და „ესპანიოლი".

ჩემპიონატის მსვლელობისას ეს გუნდები ოთხეულსაც ებღაუჭებოდნენ, მაგრამ ბოლომდე ვერ გაძლეს. თუმცა მათთვის არც მეხუთე-მეექვსეობაა ურიგო შედეგი.

უეფაზე ითამაშებს „ოსასუნაც", რომელმაც სეზონი მართალია, მეთხუთმეტე ადგილზე ჩაამთავრა, სამაგიეროდ, სამეფო თასის ფინალში გავიდა და რაკი იქ მისი მეტოქე ჩემპიონთა ლიგაში გასული „ბეტისია", პამპლონელებს უეფაზე თამაში აქედანვე დაბეჭდილი აქვთ.

მომდევნო სეზონში პრიმერაში ძველი სახეები დაბრუნდებიან. სეგუნდაში კიდევ ორი ტურია გასამართი და პრიმერაში აღზევება მხოლოდ „სელტას" აქვს განაღდებული, მაგრამ რა უნდა მოხდეს, პრიმერაში „ალავესიც" რომ ვერ აღზევდეს?

ხოლო რომელი იქნება მესამე გუნდი, წინასწარმეტყველებისგან თავის შეკავება გვიჯობს — „კადისს", „უელვასა" და „ეიბარს" თითქმის თანაბარი შანსები აქვთ.

საბოლოო ცხრილი	სულ							შინ							სტუმრად						
№	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ბარსელონა	38	25	9	4	73:29	44	84	19	14	4	1	40:12	28	46	19	11	5	3	33:17	16	38
2 რეალი	38	25	5	8	71:32	39	80	19	15	1	3	43:12	31	46	19	10	4	5	28:20	8	34
3 ვილიარეალი	38	18	11	9	69:37	32	65	19	14	4	1	41:10	31	46	19	4	7	8	28:27	1	19
4 ბეტისი	38	16	14	8	62:50	12	62	19	12	5	2	36:22	14	41	19	4	9	6	26:28	-2	21
5 ესპანიოლი	38	17	10	11	54:46	8	61	19	12	5	2	34:18	16	41	19	5	5	9	20:28	-8	20
6 სევილია	38	17	9	12	44:41	3	60	19	10	5	4	25:19	6	35	19	7	4	8	19:22	-3	25
7 ვალენსია	38	14	16	8	54:39	15	58	19	11	5	3	31:17	14	38	19	3	11	5	23:22	1	20
8 ბილბაო	38	14	9	15	59:54	5	51	19	11	4	4	39:24	15	37	19	3	5	11	20:30	-10	14
9 დეპორტივო	38	12	15	11	46:50	-4	51	19	6	7	6	25:29	-4	25	19	6	8	5	21:21	0	26
10 მალაგა	38	15	6	17	40:48	-8	51	19	8	4	7	19:24	-5	28	19	7	2	10	21:24	-3	23
11 ატლეტიკო	38	13	11	14	40:34	6	50	19	11	6	2	28:13	15	39	19	2	5	12	12:21	-9	11
12 სარაგოსა	38	14	8	16	52:57	-5	50	19	11	3	5	35:25	10	36	19	3	5	11	17:32	-15	14
13 ხეტაფე	38	12	11	15	38:46	-8	47	19	11	4	4	23:12	11	37	19	1	7	11	15:34	-19	10
14 სოსიედადი	38	13	8	17	47:56	-9	47	19	9	4	6	21:24	-3	31	19	4	4	11	26:32	-6	16
15 ოსასუნა	38	12	10	16	47:65	-18	46	19	9	6	4	29:24	5	33	19	3	4	12	18:41	-23	13
16 რასინგი	38	12	8	18	41:58	-17	44	19	8	6	5	25:23	2	30	19	4	2	13	16:35	-19	14
17 მალიორკა	38	10	9	19	42:63	-21	39	19	6	5	8	28:31	-3	23	19	4	4	11	14:32	-18	16
18 ლევანტე	38	9	10	19	39:58	-19	37	19	6	6	7	19:20	-1	24	19	3	4	12	20:38	-18	13
19 ნუმანსია	38	6	11	21	30:61	-31	29	19	4	9	6	19:23	-4	21	19	2	2	15	11:38	-27	8
20 ალბასეტე	38	6	10	22	33:57	-24	28	19	4	7	8	17:22	-5	19	19	2	3	14	16:35	-19	9



„ბარსას" კიჟა-ვარსკვლავი რონალდინიო

ესპანეთი. პრიმერადივიზიონი 2004-2005
სოსო ჯოტორეიშვილი. მიმოხილვა

რაიკარდის სანახაობა და მოვალეობა

ფრანკ რაიკარდმა „ბარსელონას" ძველებური იერი დაუბრუნა

2003 წლის ზაფხულში, როცა „ბარსელონას" ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ გუნდის მწვრთნელად ჰოლანდიელი ფრანკ რაიკარდი დანიშნა, ბევრმა ასეთი არჩევანი დაუწუნა. „ბარსას" ქომაგთა უმეტესობას რაიკარდის სამწვრთნელო გამოცდილების სიღარიბე აშფოთებდა. მართალია, ფრანკი ჰოლანდიის ნაკრებსაც თავკაცობდა და როტერდამის „სპარტასაც", მაგრამ კატალონიურ ინჩადას ეს მაინც არასაკმარისად მიაჩნდა. გამოხდა ხანი და რაიკარდმა საქმეები ისე წარმართა, მასზე ენა ავად არავის მოუტრიალებია ერთი კაცის გარდა. ეს კაცი „ბარსას" ვიცე-პრეზიდენტი, სატრანსფერო საქმეთა გამგებელი, ლაპორტას უახლოესი მეგობარი სანდრო როსელი იყო. როსელის „ბარსელონას" მწვრთნელად ბრაზილიის მეხუთედ გამჩემპიონებელი ლუიშ ფელიპე სკოლარი სურდა. ამ წინადადებით რამდენჯერმე ლაპორტასაც ეაჯა, მაგრამ პრეზიდენტმა რაიკარდის მხარე დაიჭირა და მეგობარს კლუბიდან წასვლისკენ უბიძგა — როსელიც სეზონის დასრულებისთანავე გადადგა.

რაიკარდს მთავარ ღირსებად იმ პიროვნულ თვისებებს უთვლიან, რომლის წყალობითაც არეულ გუნდში წესრიგი დაამყარა. ერთი შეხედვით თვინიერ და მშვიდ ჰოლანდიელს, როცა სჭირდება, გაბრაზებაც შეუძლია — წინა სეზონში მან ახალ ფიგურად შერაცხულ რიკარდუ კვარესმას ზედმეტი ლაპარაკი არ აპატია და თანაგუნდელების თვალწინ კარისკენ მიუთითა.

რაიკარდმა „ბარსელონას" ის იერი დაუბრუნა, რომლითაც კატალონიის სიამაყე სხვათაგან ყოველთვის გამოირჩეოდა. ჰოლანდიელის „ბარსა" ბევრს უტევს, მახვილგონივრულ კომბინაციებს ხლართავს და ცდილობს თამაში სანახაობა იყოს და არა მოვალეობა. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ კი ექვსწლიანი საჩემპიონო შიმშილის მერე „ბარსას" მე-17 საპრიმერო გამარჯვება მოუტანა.

„ბარსელონა" ექვსწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ისევ უძლიერესია

ისინი ჩემპიონები არიან
ბარსელონა

მეკარეები

1	ვიქტორ ვალდესი	14.01.82
25	ალბერტ ხორკერა	03.03.79
28	რუბენ მარტინესი	22.06.84

მცველები

2	ჟულიანო ბელეტი	20,06.76
4	რაფაელ მარკესი	13.02.79
5	კარლეს პუიოლი	13.04.78
12	ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი	05.02.75
15	ედმილსონი	10.07.76
16	სილვინიო	12.04.74
19	ფერნანდო ნავარო	25.06.82
23	ოლეგერ პრესასი	02.02.80
32	აბელა დამია	15.04.82

ნახევარმცველები

3	ტიაგო მოტა	28.08.82
6	ხავი ერნანდესი	25.01.80
8	ლუდოვიკ ჟიული	10.07.76
10	რონალდინიო	21.03.80
14	ხერარდ ლოპესი	12.03.77
18	გაბრი გარსია	10.02.79
20	დეკო სოუზა	27.08.77
22	დემეტრიო ალბერტინი	23.08.71
24	ანდრეს ინიესტა	11.05.84
31	ხუან ვერდიუ	05.05.83
34	სერხიო როდრი	17.08.84

თავდამსხმელები

7	ჰენრიკ ლარსონი	20.09.71
9	სამუელ ეტოო	10.03.81
11	მაქსი ლოპესი	03.04.84
30	ლეო მესი	24.06.87
36	ფრანსისკო ხავიტო	04.11.83

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

კარი დაკეტე, ფლორენტინო!

ის არის ფეთქებადი, გამოუცნობი, ფეხბურთელი ცივი გონებითა და ცხელი გულით — ასე ახასიათებს „ბარსას" პრეზიდენტი ხუან ლაპორტა სამეუელ ეტოოს.

პრიმერადივიზიონში 24 გოლის გამტანი კამერუნელის კატალონიურ გუნდში გადასვლა შარშან ზაფხულს ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი იყო — ეტოო ხომ „რეალის" საკუთრება გახლდათ. როგორ აეწყო მადრიდელთა და კამერუნელი ფორვარდის ურთიერთობა, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, იმას კი გეტყვით, რომ ეტოოს ესპანეთში „რეალისგან" დავიწყებული კაცი შეარქვეს.

„მალიორკაში" განათხოვრებულ ამ დავიწყებულ კაცს ხუან ლაპორტამ დაადგა თვალი და დიდი ვაჭრობის მერე „ბარსას" მაისურაც მოარგო. სამეფო გუნდზე დაბოღმილმა და მის მტრადმოკიდებულ მეტოქესთან გადაბარგებულმა ეტოომაც აიწყვიტა და ზემოთაც ვთქვით, ჩემპიონატი 24 გოლით ჩაასრულა. ამ გოლებიდან კი უნდა გამოვარჩიოთ „რეალის" კარში გატანილი — კამერუნელისთვის ხომ ეს გოლი ძვირად ფასობს.



სამუელ ეტოო

ეტოოს გაბარსელონელებას ვერა და ვერ შეეგუა მადრიდელთა პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი, რომელიც ესპანური პრესის მტკიცებით, მზადაა კამერუნელი „რეალში" დაბრუნოს, სანაცვლოდ კი ლაპორტას ჯონათან ვუდგეიტს, ვალტერ სამუელსა და მაიკლ ოუენს სთავაზობს. ამ ამბავზე მადრიდული **AS**-ი ეტოოს დაეკითხა: „პერესმა თქვა, რომ თქვენთვის „რეალის" კარი ღიაა", კამერუნელის პასუხი კი ასეთი იყო: „ფლორენტინოს შეუძლია კარი დაკეტოს, მე საჭირო დროს „ბარსელონამ" გამიღო კარი, აქ კარგად მოვეწყვე და არსად წასვლას არ ვაპირებ".

ესპანური პრესა იმასაც ირწმუნება, ხუან ლაპორტა სამუელის გამსხვისებელი ნაღდად არ არისო.

ბომბარდირები

ფორლანი (ვილიარეალი)	25
ეტოო (ბარსელონა)	24
რ. ოლივეირა (ბეტისი)	22
რონალდო (რეალი)	21
ბაპტისტა (სევილია)	18
ფ. ტორესი (ატლეტიკო)	16
რიკელმე (ვილიარეალი)	16
ვილა (სარაგოსა)	15
მაქსი როდრიგესი (ესპანიოლი)	15
ნიჰათი (სოსიედადი)	13
ოუენი (რეალი)	13
ურსაისი (ბილბაო)	12
პაჩეკო (ალბასეტე)	12
ესკერო (ბილბაო)	11
ტამუდო (ესპანიოლი)	11
ჟიული (ბარსელონა)	11
ლუკე (დეპორტივო)	11
ედუ (ბეტისი)	11
ლუის გარსია (მალიორკა)	11
დი ვაიო (ვალენსია)	11

ვაპარდნენ

ლევანტე, ნუმანსია, ალბასეტე

ალზევდნენ

სელტა; *სეგუნდადივიზიონში დარჩენილია 2 ტური*

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

ბარსელონა, რეალი, ვილიარეალი, ბეტისი

უეფას თასი 2005-2006

ესპანიოლი, სევილია, ოსასუნა

ინტერტოტოს თასი 2005

ვალენსია, დეპორტივო, ბილბაო

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებზე გაეცნობით ადგილზე

რუსეთი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 ივნისი						
15:00	23	შინიკი-ლოკომოტივი	3.8	3.1	1.95	1.7	1.28	1.19
15:00	24	ზენიტი-სპარტაკი	2.35	3.0	2.9	1.31	1.29	1.47
		12 ივნისი						
15:00	25	ამკარი-ტომსკი	1.75	3.1	4.6	1.11	1.26	1.85
15:00	26	დინამო-ალანია	1.5	3.5	6.5	1.04	1.21	2.27
15:00	27	მოსკოვი-კრილია	1.75	3.2	4.5	1.13	1.25	1.87
15:00	28	როსტოვი-ტერეკი	2.0	3.1	3.6	1.21	1.28	1.66
15:00	29	რუბინი-ცსკა	3.8	3.2	1.85	1.73	1.24	1.17
15:00	30	სატურნი-ტორპედო	2.4	2.9	2.9	1.31	1.31	1.45

სლოვაკეთი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 ივნისი						
19:30	45	დუბნიცა-სობოტა	1.55	3.6	5.3	1.08	1.19	2.14
19:30	46	ინტერი-ტრნავა	2.05	3.0	3.2	1.21	1.24	1.54
19:30	47	პუხოვი-ბ.ბისტრიცა	2.2	3.0	3.0	1.26	1.26	1.5
19:30	48	რუჟომბეროკი-პეტრჟალკა	3.2	2.8	2.25	1.49	1.32	1.24
19:30	49	ტრენჩინი-ჟილინა	2.9	3.2	2.15	1.52	1.23	1.28

დანია. სუპერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 ივნისი						
19:00	50	ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე	1.2	5.5	9.0	1.0	1.05	3.41
		12 ივნისი						
17:00	51	ოდენსე-ოლბორგი	2.4	3.3	2.55	1.38	1.23	1.43
17:00	52	რანდერსი-მიდტიულანდი	2.9	3.4	2.1	1.56	1.21	1.29
17:00	53	სილკებორგი-ორჰუსი	2.1	3.3	3.0	1.28	1.23	1.57
17:00	54	ვიბორგი-ხორდსიელანდი	1.85	3.3	3.6	1.18	1.22	1.72
19:30	55	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.9	3.4	3.5	1.21	1.23	1.72

ნორვეგია. ტიპელიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 ივნისი						
20:00	64	ფრედრიკსტადი-ბოდო გლიმტი	2.15	3.3	3.1	1.3	1.26	1.59
20:00	65	ლილესტრიომი-ალესუნდი	1.5	4.0	5.8	1.09	1.19	2.36
20:00	66	ოდ გრენლანდი-მოლდე	2.3	3.3	2.75	1.35	1.25	1.5
20:00	67	რუსენბორგი-ჰამარი	1.35	5.0	6.5	1.06	1.11	2.82
20:00	68	სტარტი-ტრომსიო	1.75	3.5	4.0	1.16	1.21	1.86
22:15	69	ლინი-ვოლერენგა	2.7	3.2	2.45	1.46	1.28	1.38
		13 ივნისი						
21:00	70	ვიკინგი-ბრანი	2.5	3.3	2.55	1.42	1.26	1.43

ნორვეგია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 ივნისი						
19:00	71	მანდალი-ალტა	1.65	4.2	3.8	1.18	1.15	1.99
		12 ივნისი						
20:00	72	სანდეფიორდი-ბრინი	2.05	3.7	2.9	1.31	1.2	1.62
20:00	73	სკეიდი-ჰიონეფოსი	2.3	3.8	2.35	1.43	1.16	1.45
20:00	74	სოგნდალი-სტრიომსგოდსეტი	1.55	4.0	4.5	1.11	1.15	2.11
20:00	75	ფოლო-ტონსბერგი	2.8	3.9	2.05	1.62	1.18	1.34
20:00	76	ჰიოდი-მოსი	2.3	3.7	2.5	1.41	1.19	1.49
20:00	77	კონგსვინგერი-სტაბეკი	3.4	3.7	1.85	1.77	1.19	1.23
20:00	78	ლივ ჰამ-პორს გრენლანდი	2.6	4.0	2.2	1.57	1.19	1.41

შვედეთი. ალსვენსკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		12 ივნისი						
19:00	79	იორგრიტე-გეფლე	1.8	3.3	3.9	1.16	1.23	1.78
19:00	80	სუნდსვალი-ჰამარბი	2.55	3.1	2.5	1.39	1.26	1.38
19:00	81	ჰეკენი-ლანდსკრონა	1.9	3.2	3.6	1.19	1.24	1.69
21:30	82	ელფსბორგი-ჰალმსტადი	2.4	3.1	2.65	1.35	1.25	1.42
		13 ივნისი						
21:00	83	კალმარი-ასირისკა	1.6	3.5	4.7	1.09	1.19	2.0
21:00	84	იურგორდენი-გიოტებორგი	2.2	3.1	2.95	1.28	1.26	1.51
22:00	85	ჰელსინგბორგი-მალმიო	2.55	3.0	2.6	1.37	1.28	1.39

ფინეთი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 ივნისი						
17:00	101	ტურკუ-მიუპა	2.8	3.2	2.3	1.49	1.26	1.33
		12 ივნისი						
20:00	102	ალიანსი-ტპ 47	1.5	3.6	6.0	1.05	1.2	2.25
20:00	103	ჰაკა-ლაჰტი	1.6	3.5	5:0	1.09	1.21	2.05
20:00	104	ინტერი-კტპ	1.6	3.6	4.8	1.1	1.2	2.05
20:00	105	კუოპიო-ტამპერე	3.4	3.2	2.0	1.64	1.25	1.23
20:00	106	მარიეჰამნი-იარო	1.8	3.3	3.9	1.16	1.23	1.78
20:00	107	როვანიემი-ჰიკ	4.1	3.4	1.75	1.85	1.22	1.15

აშშ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 ივნისი						
23:45	113	კოლამბუსი-კოლორადო	1.8	3.2	3.9	1.15	1.23	1.75
23:45	114	კანზასი-ნიუ ინგლენდი	2.35	3.1	2.65	1.33	1.24	1.42
23:45	115	ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი	1.5	3.6	5.5	1.05	1.17	2.17
		12 ივნისი						
23:45	116	ნიუ იორკი-ვაშინგტონი	2.0	3.0	3.4	1.2	1.25	1.59
23:45	117	ჩიკაგო-დალასი	2.45	3.0	2.55	1.34	1.24	1.37
23:45	118	ჩივასი-სან ხოსე	2.85	3.1	2.25	1.48	1.25	1.3

ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. (20).

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 ივნისი						
18:00	300	ავსტრალია(20)-ბენინი(20)	1.9	3.1	3.8	1.17	1.26	1.7
22:00	301	ჰოლანდია(20)-იაპონია(20)	1.3	4.3	7.5	1.0	1.1	2.73
		11 ივნისი						
19:30	302	არგენტინა(20)-აშშ(20)	1.35	4.3	7.5	1.02	1.14	2.73
19:30	303	ესპანეთი(20)-მაროკო(20)	1.2	5.3	9.0	1.0	1.05	3.33
19:30	304	თურქეთი(20)-ჩინეთი(20)	1.35	4.5	6.5	1.03	1.11	2.65
22:30	305	გერმანია(20)-ეგვიპტე(20)	1.3	4.3	7.5	1.0	1.1	2.73
22:30	306	ჰონდურასი(20)-ჩილე(20)	3.95	3.4	1.75	1.82	1.21	1.15
22:30	307	უკრაინა(20)-პანამა(20)	1.15	5.8	11.0	1.0	1.04	3.79
		12 ივნისი						
19:30	308	ბრაზილია(20)-ნიგერია(20)	1.5	3.8	5.5	1.07	1.17	2.24
19:30	309	კოლუმბია(20)-იტალია(20)	3.2	3.0	2.05	1.54	1.24	1.21

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	310	სირია(20)-კანადა(20)	3.2	3.0	2.05	1.54	1.24	1.21
22:30	311	სამხ. კორეა(20)-შვეიცარია(20)	3.2	3.0	2.05	1.54	1.24	1.21

იტალია. თასი
12 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	192	რომა-ინტერი	2.5	2.9	2.8	1.34	1.32	1.42

ესპანეთი. თასი
11 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	193	ბეტისი-ოსასუნა	2.1	3.2	3.1	1.26	1.25	1.57

შვედეთი. თასი
10 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	198	ენსკედე-იურგორდენი	9.0	4.5	1.3	3.0	1.13	1.0

იაპონია. თასი
11 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
8:00	199	ნიიგატა-ურავა	2.6	3.1	2.35	1.41	1.23	1.33
8:00	200	ომია-კობე	1.35	4.0	7.0	1.0	1.13	2.54
10:00	201	ჩერეძო-კაშიმა	2.65	3.1	2.35	1.42	1.24	1.33
10:00	202	შიმიცუ-ნაგოია	2.05	3.1	3.1	1.23	1.23	1.54
11:00	203	იჩიჰარა-ტოკიო	1.9	3.2	3.4	1.19	1.21	1.64
11:00	204	ოიტა-კაშივა	1.95	3.1	3.4	1.19	1.23	1.62
14:00	205	კავასაკი-ჰიროსიმა	2.35	3.1	2.6	1.33	1.23	1.41

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14:00	206	ვერდი-გამბა	2.15	3.2	2.8	1.28	1.21	[illegible]

კალათბურთი. ესპანეთი
10 ივნისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	373	ესტუდიანტესი-რეალი	1.7	12.0	2.0	1.48	1.0	[illegible]

ფრენბურთი.კაცები. მსოფლიო ლიგა.
10 ივნისი

22:30	343	იტალია-ბულგარეთი	1.15	4.0
23:45	345	არგენტინა-საბერძნეთი	1.5	2.3

11 ივნისი

9:00	344	იაპონია-ბრაზილია	4.8	1.1
19:00	346	პორტუგალია-ვენესუელა	1.5	2.25
22:10	347	სერბეთი-პოლონეთი	1.45	2.1
23:00	348	საფრანგეთი-კუბა	1.9	1.65

ფრენბურთი.კაცები. ევროლიგა.
10 ივნისი

20:00	349	სლოვაკეთი-ჩეხეთი	2.5	1.35
21:30	350	გერმანია-ესტონეთი	1.15	[illegible]

11 ივნისი

21:30	351	ფინეთი-რუსეთი	2.9	1.25

კრივი
11 ივნისი

23:45	219	ტაისონი მ-მაკბრაიდი კ	1.07	26.0	[illegible]

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

CROCO BOOKMAKERS
კროკო

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხე [illegible]
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

საფრანგეთი მსოფლიოს ეობა, მოგებული კი საქართველო დარჩა

კანდელაკის ფეოდალური წყობილება





ვიქტორ სანიკიძე

სერგო ათუაშვილი (ბურთით) ყველას ზემოდან დასცქეროდა



ნუგზარ კანდელაკი

საბულგარეთო სამზადისში მყოფ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს გუშინ ღია კარის დღე ჰქონდა. დიღმის მასივში მდებარე „დინამოს“ საწვრთნელო ბაზის ჭიშკარი მართლაც ღია იყო და ნებისმიერს შეეძლო, ახალდანიშნული მწვრთნელის ნუგზარ კანდელაკის ახლებური ვარიშების ყურება. თუმც ამ ამბის მთავარი მოტივი არა ტაქტიკურ-სტრატეგიული კომბინაციების დემონსტრირება, არამედ ამხანაგური სპარინგ-მატჩი გახლდათ, რაც ნამდვილად საამო საცქერი გამოდგა. სანამ უშუალოდ ამ სპარინგ-ბურთაობის ამბებს მოვყვებით, წინასავარჯიშო ვითარების მცირე რეპორტაჟს შემოგთავაზებთ.

გარემონტებულ-გაწკრიალებულ ბაზაზე ოცამდე მოთამაშე შეკრებილა და ერთი ოჯახივით ცხოვრობენ. ცალკე ოთახები, იდეალური სავარჯიშო პირობები და რკინის დისციპლინა. ნუგზარ კანდელაკი დიღმის ბაზის დროებითი ფეოდალია, სანამ ახალგაზრდული ნაკრები იქაა, იქაურობის უფროსიც ისაა.

ოღონდ ეს უფროსობა ისეთია, რომ კალათბურთელები არ უნდა იყვნენ უკმაყოფილონი. კანდელაკს „ქვეშემრდომებთან“ მეგობრული ურთიერთობა აქვს, მაგრამ მისი სიტყვა რომ კანონია, გუშინ ყველამ კარგად შეენიშნეთ. კანდელაკი არა მარტო გუნდის ფიზიკურად გაწვრთნაზე, არამედ მისი წევრების ფსიქოლოგიური განწყობის ამაღლებაზე ზრუნავს. ამაში მას თეორიული მეცადინეობები ეხმარება, რომლის დროსაც კალათბურთზე ეგებ სიტყვაც არ დაიძრას.

ამას გარდა, კანდელაკს ქართველი მწვრთნელებისგან განსხვავებული, უფრო სახალისო ურთიერთობა აქვს მოთამაშეებთან და ისეთ ხრიკებს თუ ფანდებს იგონებს, რაც გუნდსაც წაადგება და შესასრულებლადაც საინტერესოა. აი, მაგალითად: სანამ სპარინგ-მატჩი დაიწყებოდა, ის ჟურნალისტებს მოგვიახლოვდა და გვთხოვა, თუ არ დაიზარებთ, პასები და მოხსნები დაითვალეთო. რას ბრძანებთ, ქულებსაც დაგითვლითო. ვუპასუხეთ.

ქულები არ მჭირდება, თუ გინდათ, თქვენთვის დაითვალეთ, მაგრამ გთხოვთ, გაზეთში არ გამოაქვეყნოთ, კანდელაკისგან მოულოდნელი პასუხი მივიღეთ. თუმცა იქვე ყველაფერს ფარდა აეხადა. ახალგაზრდების მწვრთნელმა გვითხრა, საუკეთესო მომხსნელზე და მეპასეზე მცირე ჯილდო დავაწესე, სიმბოლურად, ხოლო გინდაც 50 ქულა ჩააგდოს ვინმემ, ის არაფერს არ მიიღებსო.

კანდელაკი მიიჩნევს და მართებულადაც, რომ მექულეობაში შეჯიბრი მოთამაშეზე უარყოფითად მოქმედებს და მოედანზე დავთრებს ურევს, ხოლო პასისთვის, ანაც მოხსნისთვის მებრძოლი კალათბურთელი მხოლოდ მოგებული დარჩება.

მცირე მოთელვის შემდეგ ბიჭები მოედნის ცენტრში შეიკრიბნენ, საქარვთელოო, დასჭექეს და ბურთაობაც გაჩაღდა. კანდელაკი თამაშში თითქმის არ ერეოდა, გუნდებს მისი ასისტენტები უძღვებოდნენ, რომლებზეც მან გვითხრა: „საფრანგეთს“ მუსიე მიშელი, „მსოფლიოს“ კი მისტერ „უსტო“ წაუძღვებაო.

დავაზუსტოთ: ახალგაზრდული ნაკლები ორად გაიყო. ერთში საფრანგეთში მოთამაშეები იყვნენ, მეორეში კი — დანარჩენ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში გაბნეული კალათბურთელები. მუსიე მიშელი მიხეილ კობეშავიძე გახლავთ, მისტერ „უსტო“ კი დავით უსტიაშვილი.

თამაშის აღწერით თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ, იმ ლამაზ ფრაგმენტებს და მოქმედ პირებს გამოვარჩევთ, ურომლისოდაც ამ სპარინგს ეშხი მოაკლდებოდა.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სასიამოვნო საცქერი იყო და დადებით ემოციას აღვივებდა იმ ლეგიონერთა ერთად ცქერა, რომელთა შესახებაც მთელი განვლილი სეზონის განმავლობაში ძალნაკრები ოპერატიულობით ვწერდით. აქეთ რუსეთმოვლილი გიორგი ცინცაძე, იქით დიჟონელი ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე. გიორგი მამაცაშვილი, რომელმაც ევროპულ კლუბებში მოგზაურობა პარიზულ „რასინგში“ დაასრულა და კიდევ ბლომად საფრანგეთის ახალგაზრდულ ლიგაში მოთამაშე თინეიჯერი. ძალიანაც რომ გინდოდეს, არ გამოგრჩება სერგო ათუაშვილი, 223-სანტიმეტრიანი გოლიათი, რომელიც ყველას ზემოდან დაჰყურებს და მიუხედავად ოავისი გულივერობისა, ძალიან ბევრს მოძრაობს.

ერთი სიტყვით, ქართული კალათბურთის მომავალი გუშინ დიღმის ბაზაზე სპარინგობდა და ლამაზლამაზი კომბინაციებიც გვიჩვენა, ეფექტურად ჩატენილი ბურთებიც და ბლომად სამქულიანებიც.

ნაკრებს აკლდა მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც სლოვენიის ჩემპიონატის ფინალში ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ეხმარება. იყვნენ დავით საყვარელიძე და გიორგი ჩავლეიშვილი, თუმცა პირველს კოჭის ტკივილი აწუხებდა, მეორე კი წინა დღით ჩამოვიდა ამერიკიდან და მგზავრობით გათანგულმა ვერ ივარჯიშა.

მთელი თამაში „მსოფლიოს“ ლიდერობით მიმდინარეობდა, რომელშიც ცინცაძე, ვაშაკიძე და იმნაძე გამოირჩეოდნენ. თამაშის ბოლოსკენ კანდელაკი „საფრანგეთთან“ მივიდა, დაფაზე რაღაცეები დაუხატა, რჩევა-დარიგებები მისცა და ამ გუნდმაც პატარა სასწაული მოახდინა. ბოლო წუთზე „ფრანგებმა“ ტაქტიკური ჯარიმა დაიხმარეს და სირენის თანხლებით უდავოდ გამორჩეულმა ვიქტორ სანიკიძემ ანგარიში გაათანაბრა — 78:78.

ასე მშვიდობიანად დასრულდა ეს სპარინგ-მატჩი და კანდელაკის მინი-პრიზებიც საუკეთესო მომხსნელმა დავით იმნაძემ და არქიმეპასე გიორგი ცინცაძემ დაიმსახურეს. სანიკიძემ, რომელსაც სავარაუდოდ ყველაზე მეტი ქულა დაუგროვდა, ხუმრობით გვისაყვედურა, პასები და მოხსნები ყველაზე მეტი დამიგროვდა და ეტყობა, თვლა აგერიათო. სიმართლე ითქვას, „ვიკას“ მართლაც ბლომად მოხსნა-პასები ჰქონდა, მაგრამ ამ მაჩვენებლებში უბადლო ნაღდად არ ყოფილა.

თამაშთან ერთად ვარჯიშიც დასრულდა. ყველა კმაყოფილი დარჩა და, რაც მთავარია, მწვრთნელიც ამედიანად იყო განწყობილი. ნაკრები 15 ივნისადმე „დინამოზე“ ივარჯიშებს, შემდეგ კი უკრაინაში გაემგზავრება ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. მერე კვლავ თბილისი და 8 ივლისიდან ბულგარეთში A დივიზიონში გადასასვლელი ევროსაკვალიფიკაციო ტურნირიც გახურდება.

ირაკლი პერტაია
გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

აღმოსავლეთი | **დასავლეთი**

The Finals

დეტროიტ პისტონზი VS სან ანტონიო სფურზი

3-გზის ჩემპიონი (1989, 90, 04)
რეგულარული ჩემპიონატი: 54 მოგება, 28 წაგება
აღმოსავლეთ კონფერენციაში დაიკავა მე-2 ადგილი
პლეი ოფში დაამარცხა ფილადელფია (4:1), ინდიანა (4:2), მაიამი (4:3)
ლიდერები პლეი ოფში: რიჩარდ ჰამილტონი (21.3 ქულა, 4.9 პასი, 3.9 მოხსნა), ჩონსი ბილაფსი (18.0 ქულა, 6.6 პასი, 4.1 მოხსნა), ტაიშონ პრინსი (14.7 ქულა, 6.9 მოხსნა, 3.6 პასი), რაშიდ ვოლესი (14.7 ქულა, 7.4 მოხსნა, 1.5 დაფარება), ბენ ვოლესი (9.8 ქულა, 11.7 მოხსნა, 2.1 დაფარება, 1.7 ჩაჭრა)

9 ივნისი	სან ანტონიოში
12 ივნისი	სან ანტონიოში
14 ივნისი	დეტროიტში
16 ივნისი	დეტროიტში
თუ საჭირო გახდა	
19 ივნისი	დეტროიტში
21 ივნისი	სან ანტონიოში
23 ივნისი	სან ანტონიოში

2-გზის ჩემპიონი (1999,03)
რეგულარული ჩემპიონატი: 59 მოგება, 23 წაგება
დასავლეთ კონფერენციაში დაიკავა მე-2 ადგილი
პლეი ოფში დაამარცხა დენვერი (4:1), სიეტლი (4:2), ფინიქსი (4:1)
ლიდერები პლეი ოფში: ტიმ დანკანი (24.9 ქულა, 11.7 მოხსნა, 3.0 პასი, 2.3 დაფარება), მანუ ჯინობილი (21.8 ქულა, 5.8 მოხსნა, 4.3 პასი), ტონი პარკერი (18.7 ქულა, 4.8 პასი, 3.1 მოხსნა), რობერტ ჰორი (8.8 ქულა, 5.7 მოხსნა), ნაზრ მუჰამედი (13.1 ქულა, 7.0 მოხსნა)

დამწყები ხუთეული

ჩონსი ბილაფსი (28 წლის, 191 სანტიმეტრი) — შარშანდელი ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშის გუნება-განწყობაზე წლეულსაც ბევრი ჰკიდია. ჩონსის მთლად პარკეტის გენერალი ვერ დაერქმევა, მაგრამ თავის, გუნდში სერჟანტის, ან სულაც ლეიტენანტის ჩინზე მეტს იმსახურებს. მარჯვე მტყორცნელი და ჭკვიანი გამთამაშებელია. ამასთან, კრიტიკულ ვითარებაში არ გაურბის თამაშის საკუთარ თავზე აღების პასუხისმგებლობას. თითქმის არ აცუდებს საჯარიმოებს.

რიჩარდ ჰამილტონი (27, 201) — ამპლუით და მოწოდებით ჭეშმარიტი მსროლელი. ახალი რეჯი მილერიც კი შეარქვეს, რაკი ნებისმიერ დროს და ნებისმიერი წერტილიდან შეუძლია მეტოქის კალათის დაქუცვა. ძალიან გონივრულად მოძრაობს შეტევაში და მწვრთნელი ლარი ბრაუნი ბევრ კომბინაციას მის გარშემო ქსოვს. ბოლო დრომდე „პისტონზის" სუპერხუთეულში ყველაზე სუსტ დამცველად ითვლებოდა, მაგრამ ეს ნაკლიც გამოასწორა და რეჯი მილერის დარად ნაღდ საპლეიოფო ყაიდის მოთამაშედ ჩამოყალიბდა.

ტაიშონ პრინსი (27 206) — თუმცა ვარსკვლავი არ დაერქმევა, ტაიშონს სხვებზე არანაკლები სარგებელი მოაქვს გუნდისთვის მოედნის ორივე ნახევარზე. ერთგული და საიმედო ჯეელია გამხდარი სხეულით, გრძელი ხელებით, მოუღლელი ფეხებით და დიდი გულით. მშვენივრად იცის თავისი ადგილი და როლი.

რაშიდ ვოლესი (30, 211) — „პისტონზის" ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე არასტაბილური მოთამაშე. ვთქვათ, ტიმ დანკანივით მტკიცე ნერვები რომ ჰქონოდა, ნბა-ს ისტორია მის სახელს დაახლოებით ჩარლზ ბარკლის, პატრიკ იუინგის და ჰაკიმ ოლაჯუონის გასწვრივ დაწერდა, ასე კი რაშიდი თავისი თაობის მრავალთაგან ერთ-ერთი რიგიანი მოთამაშეა. თუ სიშმაგემ არ მოუარა, ლამაზად ბურთაობა გამოსდის, რაკი უფრო ძველი ყაიდის კალათბურთელია და ზორბა ტანის მიუხედავად, უფრო ტექნიკურად ირჯება, ვიდრე ძალისმიერად.

ბენ ვოლესი (30, 206) — მას კალათბურთელზე მეტად მუშაკაცი ან კლდის ნატეხი უფრო დაერქმევა და ამსიმაღლე რომ არ გაზრდილიყო, ამერიკულ ფეხბურთში უფრო იპოვიდა თავის ადგილს. თუმც ბენი კალათბურთშიც წყვეტს ტიტულ-ჯილდოებს და აგერ ბოლო ოთხ სეზონში მესამედ დასახელდა საუკეთესო დამცველად. აღმოსავლეთის ფინალში მან შაკილ ონილი გააჩერა, დიდ ფინალში კი ლარი ბრაუნი მას ტიმ დანკანს მიაწებებს.

სათადარიგოები

ანტონიო მაკდაიესი (30, 206) — ოდესღაც ის სუპერვარსკვლავი იყო და 2000 წელს სიდნეიში „დრიმ თიმ" რომელიღაცას ბოლო საერთაშორისო ამერიკული



რაშიდ ვოლესი



ტიმ დანკანი

ოქროს მოპოვებაში დაეხმარა, თუმც შემდეგ ბევრს ტრავმიანობდა და სუსტ გუნდში ლიდერობას ძლიერში სკამზე ჯდომა არჩია.

კარლოს არროიო (25, 188) — ნიჭი არ აკლია და 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე პუერტო რიკოს ნაკრებს მეოთხედფინალამდეც ულიდერა, მაგრამ ამბიციაც მოსჭარბებია და სკამზე წყნარად ჯდომა ვერ ისწავლა. მის ეგოს ლაგამი ლარი ბრაუნმა ამრსდო.

ლინდსი ჰანტერი (34, 188) — გამოცდილი გამთამაშებელია და არროიოსგან განსხვავებით კარგად ისწავლა „დეტროიტში" ეპიზოდური როლების შესრულება.

ელდენ კემპბელი (36, 213) — წინა სერიაში შაკილ ონილთან ჭიდილისას გამოიყენა ბრაუნმა, „სან ანტონიოსთან" კი ალბათ ნაკლებად დატვირთავს შეგირდთაგან ყველაზე მხცოვანს.

რონალდ დიუპრე (24, 201) — ღრმა სათადარიგო...

დერვინ ჰემი (31, 201) — წლეულს „პისტონზის" 18 საპლეიოფო თამაშიდან ეს ვეტერანი 9-ში 13 წუთით მონაწილეობდა და სულ ჩააგდო 2 ქულა.

დარკო მილიჩიჩი (19, 213) — კლუბის პრეზიდენტ ჯო დუმარსის პრაქტიკულად ერთადერთი აშკარა შეცდომა ამ მძლავრი გუნდის სელექციისას.

მწვრთნელი

ლარი ბრაუნი (64 წლის) — თანამედროვე ნბა-ში ყველაზე გამოცდილ და ჭკვიან სტრატეგად ჩაითვლება. ბევრ გუნდთან უმუშავია და ნებისმიერი მათგანი დაუყენებია ფეხზე. ყველაზე კარგად სწორედ „დეტროიტში" წაუვიდა საქმე — ორ წელიწადში ორი ფინალი ბევრზე მეტყველებს. ბრაუნს ხშირად უკიჟინებენ, ხალხის ამოჩეშება იცის და ხუთეულის წევრებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევსო, თუმც ამ ხუთეულს ჯერ არ ეტყობა გადაღლილობა და „სან ანტონიოსთან" ჯახსაც ყველა ჯანზე ეგებება.

დამწყები ხუთეული

ტონი პარკერი (23 წლის, 188 სანტიმეტრი) — 23 წლის ვეტერანი ფრანგი გამთამაშებელი ახლა საუკეთესო ფორმაშია და ოპონენტ ჩონსი ბილაფსის გამოწვევასაც სიამოვნებით იღებს. ტონის პასის მიცემაზე მეტად თავად ტყორცნა, ან გარღვევაზე წასვლა ურჩევნია, რაც არცთუ საუკეთესო თვისებაა გამთამაშებლისთვის, მაგრამ წლეულს ბლომად იხვეჭს ქულებს და გუნდიც ნაკლებად ზარალდება.

მანუ ჯინობილი (29, 198) — ნბა და ამერიკელი შავკანიანები რომ არა, თანამედროვე საკალათბურთო მსოფლიოს არგენტინელი მეფე ეყოლებოდა. არც ნბა-ში აკლია ქება და თაყვანი. რაც მანუ ჯინობილი მივიდა, „სან ანტონიო" მარტო ტიმ დანკანის გუნდი აღარაა. 2004 წლის ათენის ოლიმპიადის ჩემპიონს განსაკუთრებით ეს წელი წაუვიდა ზღაპრულად, მის თამაშს სწორედ ასეთი ეთქმის. გაზეთის ფურცლიდან მას ვერ შევაფასებთ. ვისაც არ გინახავთ, გირჩევთ, მანუს თამაშს ამ ფინალში უყუროთ.

ბრიუს ბოუენი (33, 201) — „სან ანტონიოსთვის" დაახლოებით იგივეა, რაც „დეტროიტისთვის" ბენ ვოლესი, იმ განსხვავებით, რომ ბოუენი უფრო პერიმეტრის მოთამაშეა და რაკი ფარქვეშ არ დგას, მისი სტატისტიკა (მოხსნა, დაფარება...) ნაკლებად ყვირის. ასოციაციაში ერთ-ერთი საუკეთესო პერსონალური მეურვე გახლავთ — „სიეტლთან" სერიაში რეი ალენი „გააჩერა", „ფინიქსთან" კი შონ მარიონი „გააქვავა". ძალიან ბევრი უჩივის — ბინძური მოთამაშეაო.

ტიმ დანკანი (29, 213) — კალათბურთელი, რომელსაც ყველაფერი უხვად დაამადლა ბუნებამ — სხეულიც, ნიჭიცა და სპორტული სიჯიუტეც. მას ხელის მტევანიც კი იდეალური ზომისა და ფორმის აქვს. თავისი დროის საუკეთესო მეფარე შაკილ ონილთან ერთად, თუმც ამ დევისგან განსხვავებით ბევრად უფრო მრავალფეროვანი სათამაშო არსენალი აქვს. დანკანი თავისი ბავშვითი უმანკო სახით რვა წელია, ჯედარვის ატყუებს. ყველამ კარგად იცის, რომ მას მკვლელის დაუზლუნგებელი ინსტინქტი აქვს. თუმცა არცთუ უხვქულიანი რეგულარული ჩემპიონატი ჰონდა, დანკანმა მაინც +20 ქულით და 10 მოხსნით შეაბიჯა პლეი ოფში და აქ ძველებური სიმარჯვით ოაგრიალდა. დეტროიტელები მისი აგრესიისგან თავს ორი მეურვით დაიცავენ.

ნაზრ მუჰამედი (27, 208) — არცთუ ცნობილი მოთამაშეა და ასეთი გაქანების გუნდის დამწყებ ხუთეულში რაშო ნესტეროვიჩის ტრავმიანობის გამო მოხვდა.

სათადარიგოები

ბრენტ ბერი (33, 201) — ლეგენდარული მამა ჰყავდა — რიკ ბერი, თავად კი საშუალო მოთამაშის სტატუსი ვერ მოიშორა. ცოტა-ცოტა ყველაფერი შეუძლია, მაგრამ კარგი თამაში კარგა ხანია არ ჰქონია. ზოგჯერ ჯინობილისაც ამსგავსებენ თამაშის ყაიდით.

რობერტ ჰორი (34, 208) — ნბა-ს 3-გზის ჩემპიონი ახლა თითს მეექვსე ოქროს ბეჭედს უმიზნებს და ბოლო შვიდ წელიწადში მესამე ჩემპიონობისთვის დაგეშილ სანანტონიოელებს ტყორცნებსაც შეაწევს. კრიტიკულ მომენტებშიც არ უკანკალებს ხელი და ბევრჯერ ჩაუგდია გადამწყვეტი ტყორცნა.

გლენ რობინსონი (32, 201) — ყოფილი ოლსტარელის მატარებელმა ორიოდ წლის წინ ჩაიარა და ამ გუნდში ვარსკვლავური წარსულის წყალობით, სამადლოდ მოხვედრილი „დიდი ძაღლი" რამდენიმე საათში წუთითაც სავსებით კმაყოფილდება. ერთხელ თქვა, ჩემი თოფი კიდევ დაიქუხებსო.

ბენო უდრიჰი (22, 191) — ახალბედა სლოვენიელი გამთამაშებელი კარგად გამოადგა „სფურზს", ის ზოგჯერ კარგად ცვლის ტონი პარკერს.

დევინ ბრაუნი (26, 196) — ხანდახან კარგი სათადარიგო.

ტონი მასენბურგი (37, 206) — ბებერი ჯანიანი მეფარე.

რაშო ნესტეროვიჩი (29, 213) — ორ წელიწადს დანკანის მზარდამზარ ბურთაობდა, ბოლო ხანებში კი ტრავმებმა შეაწუხა და დამწყებ ხუთეულში დაკარგა ადგილი.

მწვრთნელი

გრეგ პოპოვიჩი (58 წლის) — გრეგს თავის კოლეგა და ოპონენტ ლარი ბრაუნივით ბევრი არ უნახავს. მისი სამწვრთნელო გამოცდილება მხოლოდ რვა წელიწადს მოითვლის, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, დიდ თამაშებში გაუძღვეს დიდ გუნდს, რომელიც, სხვათა შორის, მისივე შექმნილია — პოპოვიჩი ხომ „სფურზის" მწვრთნელობას პრეზიდენტობასაც უთავსებს და ორივე საქმეს ეფექტურად არიმკვლევს თავს. მას აქვს საკმაო, სიმპათია ევროპელი კალათბურთელების მიმართ და გუნდში 4 არამერიკელიც ჰყავს. პოპოვიჩი ლარი ბრაუნზე მეტად ტვირთავს სათადარიგოებს, შეიძლება ითქვას, მას 12-კაციანი გუნდი ჰყავს, ბრაუნის 8-9-კაციანის საპირისპიროდ.

ძოტე ყორღია

ისიამოვნეთ ჩოგბურთით, დალიეთ კოკა-კოლა



ლეილა მესხი

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მთავარი სპონსორი წლის ბოლომდე „კოკა-კოლა“ იქნება. კონტრაქტი ახლახან გაფორმდა, გუშინ კი ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიაში გამართულ პრესკონფერენციაზეც გახმაურდა. ურთიერთთანამშრომლობის დეტალებზე ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა და „კოკა-კოლას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა სოფო ჭყონიამ ისაუბრეს.

ჩოგბურთის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ „კოკა-კოლას“ სახელი აქამდეც მჭიდროდ უკავშირდებოდა თბილისში ჩატარებულ შეჯიბრებს. საუკეთესო მაგალითი ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი „კოკა-კოლას თასია“, რომელიც „პლეხანოვურ“ კორტებზე შარშან ზაფხულს გაიმართა. თუმც ამიერიდან ამ კომპანიის ჩოგბურთისადმი ინტერესი უფრო მასშტაბური ხდება.

— ჩვენი და „კოკა-კოლას“ თანამშრომლობა დიდი ხნის წინათ დაიწყო — გვეუბნება, ლეილა მესხი — ეს ორგანიზაცია ფაქტობრივად სულ გვერდით გვედგა, ახლა კი ფედერაციის მთავარი სპონსორი ხდება. ამ ინფორმაციას ოფიციალურად დღეს ვაცხადებთ, თორემ უკვე ჩავატარეთ ერთობლივად ბათუმში საქართველოს პირველობა 14 და 16 წლამდელ ჩოგბურთელთა შორის.

...ჩვენი მთავარი ამოცანაა, ჩოგბურთი უფრო მასობრივ სპორტად ვაქციოთ. საამისოდ 26 ივნისს ღია კარის დღეს მოვაწყობთ და მსურველებს ექნებათ საშუალება, ნებისმიერ კლუბში უფასოდ ითამაშონ და ივარჯიშონ. მოეწყობა მინი-ტურნირები და იქნება ბევრი სიურპრიზი.

...აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში გასამართ საქართველოს ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატებს საპრიზო ფონდი ეჭნება. ასე რომ, მოთამაშეებს ფინანსური დაინტერესებაც უჩნდებათ. აქვე გეტყვით, რომ შიდა პირველობებზე ყველა ძლიერი ჩოგბურთელი ითამაშებს. საქართველოში ჩოგბურთის განვითარება მნიშვნელოვანწილად მწვრთნელების კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. ამიტომ ოქტომბერში მწვრთნელთა ორკვირიანი კურსების ჩატარებას ვგეგმავთ, რომელიც უნდა „კოკა-კოლასთან“ ერთად.

სოფო ჭყონიამ კონტრაქტის მიზეზად მესხის პროფესიონალიზმი და ჩოგბურთისადმი სიყვარული დაასახელა. აქამდეც ერთად ვიყავით და უფრო საქმიანი კავშირი ამ ხანგრძლივმა ურთიერთობამ გადაგვაწყვეტინა. მისგანვე შევიტყვეთ, რომ არსებული კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება, თუმც სავარაუდოდ კიდევ გახანგრძლივდება.

პრესკონფერენციის მიწურულს ფედერაციის პრეზიდენტმა სხვა საკითხებზეც ისაუბრა: 15-17 ივლისს განაში, დევისის თასზე საქართველოს ნაკრებში აუცილებლად ითამაშებს ირაკლი ლაბაძე. უკვე გადაწყვეტილია, რომ შემოდგომაზე ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე ნიჭიერი ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი ჩამოვა. დიღმის საჩოგბურთო ბაზის მშენებლობის დასრულება კი ფართობის გაზრდის გამო გაიწელა.

ოთარ გაღლაძელიძე



რაფაელ ნადალი



ენდი როდიკი

ნათიხნარევ ნადალს ბალახი ემნარა

GERRY WEBER OPEN
ჰალე. ბალახი. საპრიზო 659 ათასი ევრო

პირველი წრე

ალექსანდერ ვასკე (გერმანია) — რაფაელ ნადალი (3, ესპანეთი) 4:6 7:5 6:3

მეორე წრე

მარატ საფინი (2, რუსეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 3:6 7:6 (9:7) 3:2 *სანტორომ შეწყვიტა*; ტომი ჰაასი (7, გერმანია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:2 3:6 6:4; ოლივიე როხუსი (ბელგია) — ფელისიანო ლოპესი (8, ესპანეთი) 7:6 (7:2) 6:3

მილეთი მოუთმენლად ელოდა 19 წლის მალიორკელი ფასკუნჯის, ახლახანს როლანგაროსობაზე გაჩემპიონებული რაფაელ ნადალის გამოსვლას ჰალეურ ბალახს. ფარზე. ვაგლახ — ორკვირიანი სეფეთიხნარობის შემდეგ ამ სეზონში უკვე ექვსი ტიტულის მომხვეჭი ჯადობიჭი ერთობ დაღლილი ჩანდა. ალბათ, რათა მისთვის გაუჩვეველ ბალახზეც ჟინიანად და ბობოქრულად გარჯილიყო. და აკი ვერც გაისარჯა. ამის მიუხედავად, რომ თავიდან ყველაფერი რიგიანად წაუვიდა და რეიტ ინგსის 147-ეადგილოსან გერმანელს სეტიც წაჰგვარა, მერე და მერე სადავეები მოუბოშდა და, რაკიღა კორტზე ცქაფად გადაადგილებისა თუ ლონივრად გლაჯუნის საშუალებას არც გადახვეული ბარძაყი აძლევდა და არც დაწყლულებული თითი, მატჩის დაწყებიდან საათისა და 37 წუთის შემდეგ ჩოგანიც დახარა. ჰალეურმა მილეთმა ძლეული ყრმა დგომელა ოვაციით გააცილა, ყრმამ კი ნამატჩევს ბევრი ისაუბრა და მარცხის მიზეზები ამგვარად განმარტა:

„როლანგაროსობაზე გადატანილი ამდენი ბრძოლის შემდეგ კონცენტრაციის ბოლომდე შენარჩუნება ველარ შევძელი. უბრალოდ დაღლილი ვარ და ორ-სამდღიანი კაცური დასვენება მჭირდება. იმის გამო, რომ სისაღე მაკლია, ბადესთან მისვლისას ძალიან ზანტად ვირჯებოდი. ამას ისიც ერთვის, რომ ბალახზე საერთოდაც ძალიან ცოტა მითამაშია. თუმცა ამ შეხვედრას მაინც პოზიტიურად ვაფასებ — სხვა თუ არაფერი, ამ საფარს კიდევ ერთხელ გავუგე გემო. მთავარია, ჯანზე ვიყო. სეზონის მეორე ნახევარს ჩემთვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირველს და, ცხადია, არც ის მინდა, უიმბლდონობა ჩამივარდეს. რაც შეეხება თავდაჯერებას, ეს ერთი წაგება ამას ვერ შემირყევს. როლანგაროსობის შემდეგ თავს საკმაოდ თავდაჯერებულად ვგრძობ.“

ისე კი, ამ მატჩამდე ნადალს ზედიზედ 24 მატჩი მოეგო, თუმცა — ეგ თქვენც უნდა გახსოვდეთ — 24-ვე თიხნარზე. ბოლოჯერ მან ორი თვის წინ ვალენსიობაზე რუს იგორ ანდრეევთან დათმო, ალექსანდერ ვასკეს კი ამქარში უფრო წყვილოსნად იცნობენ. წლეულს ეს მისი ოდენ პირველი საერთეულო გამარჯვება გახლდათ მესამე ცდიდან, ხოლო კარიერაში მას 28 მარცხის წილ უკვე 9 მოგება დაუგროვდა.

სხვაფრივ — მარცხს ბეწვზე გადაურჩა გამოცდილ ფაბრის სანტოროსა და მუხლის ტრავმასთან მორკინალი მარატ საფინი.

შეგახსენებთ, რომ ამ ჩამხუჭუჭებელ ფრანგთან რუს გოლიათს წინა რვა შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ ემარჯვა და ვინ იცის, ახლა რა მოხდებოდა, სანტოროს მარცხენა ბარძაყის ტრავმა რომ არ მიეღო. არადა, მეორე სეტში მას მატჩბურთიც ჰქონდა და რომ გამოეყენებინა, ეგებ ტრავმასაც გადარჩენილიყო და მეოთხედფინალშიც გაევაკა. საფინი კი ნამატჩევს თავადაც ტრავმას უჩიოდა — მუხლი მაგრად მიჩმახებსო — და მერე დასძენდა, რომ ამის მიუხედავად უიმბლდონის ჩაგდებას მაინც არ აპირებს და არდადეგით მხოლოდ ნაუიმბლდონევს დატკბება.

THE STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS
ლონდონი. ბალახი

საპრიზო 659 ათასი ევრო

მეორე წრე

ენდი როდიკი (2, აშშ) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:2 6:4; მარიო ანჩიჩი (5, ხორვატია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:4 6:4; ტომას იოჰანსონი (6, შვედეთი) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 6:7 (4:7) 6:4 7:5; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — ფერნანდო გონსალესი (8, ჩილე) 6:3 7:6 (7:4); ენდრიუ მიურეი (ბრიტანეთი) — ტაილორ დენტი (9, აშშ) 6:3 6:3; რიშარ გასკე (10, საფრანგეთი) — ჯემი დელგადო (ბრიტანეთი) 6:4 6:1; ძრის გუჩიონე (ავსტრალია) — იგორ ანდრეევი (13, რუსეთი) 6:4 6:4; გრეგ რუზედეკი (14, ბრიტანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:1 6:7 (3:7) 6:4; მარს მირნი (15, ბელარუსი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:4 6:3

ორგზის (2003-04) ტიტულდამცველმა ენდი როდიკმა მოულოდნელად იოლად აჯობა მისდარად ზორბად მოეისე ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს, ვისაც ქუინზკლაბობა 1997 წელს მოუგია და ვისთანაც მას აქამდე არასოდეს ეთამაშა. ეს როდიკის მხოლოდ 34-ე საამსეზონო მატჩი გახლდათ და მან შვიდი მარცხის წილ 27-ე გამარჯვება მოიქუჩა.

სათქმელია ისიც, რომ 2003 წლიდან გამართულ 24 საბალახსაფრო შეხვედრაში მან 22-ეჯერ იმარჯვა და ის ორიც წინა ორ უიმბლდონობაზე სეფებალახობის ჩემპიონ როჯერ ფედერერთან წაასხა. იმის მიუხედავად, რომ ავსტრალიელს ადვილად მოუგო, როდიკი ნამატჩევს მას მაინც ქათინაურებს უძღვნიდა — აქაოდა, უიმბლდონობაზე ეგ მაინც დიაღ სახიფათო მეტოქე იქნებაო. თავის თამაშით კი კმაყოფილობდა და განსაკუთრებით გამოჰყოფდა იმას, რომ ყველაფერი მაინც მისი მოწოდების სტაბილურობამ გადაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ როდიკის მოწოდების სიჩქარე სამსოფლიორეკორდია და საათში თითქმის 249 კილომეტრს აღწევს.

ჯომოლუნგმა იზრდება, თოვლს იბერტყავს და გვემუქრება

ჩინელმა მთამსვლელებმა კიდევ ერთხელ დალაშქრეს დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (იგივე ევერესტი, საგარმატჰა). ამჯერად ჩინელთა მიზანი უბრალოდ დედამიწის სახურავზე ასვლა კი არ იყო, არამედ იმ თეორიის შემოწმება, რომლის მიხედვითაც ამ მწვერვალის სიმაღლე იზრდება.

24 მთამსვლელმა და მკვლევარმა მწვერვალზე დადგა გეოდეზიური ნიშანი და რადარის და გლობალური პოზიციონირების საშუალებით გაზომა მწვერვალის სიმაღლე.

ჩინელები გამოკვლევის შედეგებს აგვისტოში გამოაქვეყნებენ, ახლა კი გავიხსენოთ ამ მწვერვალის სიმაღლის დადგენასთან დაკავშირებული ამბები და მისი ზრდის თეორემის დაბადების მიზეზები.

სანამ ჯომოლუნგმას დედამიწის სახურავად აღიარებდნენ, უმაღლეს მწვერვალად მიაჩნდათ დჰაულაგირი (8221 მ), რომელიც გოლიათ მწვერვალთა შორის რიგით მეექვსეა. ერთ დროს დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ეგონათ კანჩენჯანღაც (8585 მ) — გოლიათთა რიგში მესამე.

ჯომოლუნგმა, როგორც უმაღლესი მწვერვალი, 1852 წელს აღმოაჩინეს... ქაღალდზე. მაშინ ინდოელთა გეოდეზიური სამსახურის ერთ-ერთი მოხელე ციფრებს რომ ჩაჰკირკიტებდა საკუთარ თვალებს არ უჯერებდა და როცა ჯომოლუნგმის სიმაღლე კიდევ ერთხელ გამოითვალა, მერე თავისი ანგარიშის სისწორეში დარწმუნებული ტოპოგრაფიული სამსახურის უფროს ენდრიუ ვოუსთან შევარდა და მოახსენა, სერ, „პიკი XV“ დედამიწის უმაღლესი მწვერვალიაო.

ადრე ამ პიკს ჰიმალაის დანარჩენ მწვერვალთა შორის სიმაღლის მიხედვით მეთხუთმეტე ადგილი ეკავა. გავიდა სულ რაღაც ოთხიოდე წელიწადი და დედამიწის უმაღლეს მწვერვალად გაურიზანკარი აღიარეს.

საქმე ის იყო, რომ ჰიმალაის სახელგანთქმულმა გერმანელმა მკვლევარმა, გეოგრაფმა ჰერმან ფონ შლაგინტვეიტმა გადაწყვიტა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი საკუთარი თვალით ენახა. მის ძებნაში დაასკვნა, რომ ჯომოლუნგმა და გაურიზანკარი ერთი და იგივე მწვერვალია, ოღონდ ადგილობრივი მკვიდრნი სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენო. ეს ვერსია და ეს სახელი — გაურიზანკარი — ისე დამკვიდრდა, რომ როცა 1903 წელს საგანგებო შემოწმების შედეგად შეცდომა აღმოაჩინეს, დედამიწის უმაღლეს მწვერვალად მაინც გაურიზანკარი იყო რუკებზე აღნიშნული. არადა, გაურიზანკარი ჯომოლუნგმასაგან 58 კილომეტრითაა დაშორებული და მისი სიმაღლე 7145 მეტრია.



1920 წელს ამერიკელებმა ტიბეტის საზღვარზე აღმოაჩინეს მწვერვალი მინიაკ-კანგრი და დაიწყეს მტკიცება, რომ ეს ცხრაათასიანი პიკიაო, თან მისი სიმაღლეც მიუთითეს — 9145 მ. მერე დადგინდა, რომ მინიაკ-კანგრი მთელი 1300 მეტრით დაბალი ყოფილა.

15 წლის შემდეგ ამერიკის გაზეთებში კვლავ გავრცელდა სენსაციური ცნობა „სხვა“ ცხრაათასიანი პიკის აღმოჩენის თაობაზე. ამერიკელი პილოტი ამტკიცებდა, ტიბეტის ტბა კუკუნორის სამხრეთით ფრენისას, როცა ჩემი თვითმფრინავის გამართულად მომუშავე სიმაღლის მზომი 9300 მეტრს აჩვენებდა, ამ დროს ჩემგან ასეული მეტრით დაშორებული მწვერვალი დავინახე და ის პიკი ჩემი ფრენის სიმაღლეზე ზემოთ იყო აზიდულიო. ის მწვერვალი ამნე-მაგანი იყო.

1949 წელს დაადგინეს, რომ იმ რაიონში, სადაც ამერიკელმა პილოტმა ვითომ ცხრაათასიანი პიკი დაინახა, 6400 მეტრზე მაღალი მწვერვალი არ არსებობდა, მაგრამ ვინ დაიჯერა?

ამერიკელმა კლარკმა ჟურნალ „ლაიფის“ დახმარებითა და სახსრებით მოაწყო ექსპედიცია იმავე რაიონში, რათა იქ ცხრაათასიანი მწვერვალის არსებობა დაემტკიცებინა. ექსპედიციის ხარჯები რომ გაემართლებინა, კლარკმა „გაზომა“ მწვერვალი და 9040 მეტრი სიმაღლისა „გამოიყვანა“, მაგრამ პირველივე შემოწმების შედეგებმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

მთელი ამ ისტორიის განმავლობაში ჯომოლუნგმის სიმაღლე მრავალგზის გამოიანგარიშეს და ყოველთვის სხვადასხვა შედეგი მიიღეს: 8900, 8888, 8882, 8824.

1955 წელს დაადგინეს ის სიმაღლე, რომელსაც დღემდე მიუთითებენ — 8848. უფრო სწორედ იმ გამოთვლის შედეგად მიიღეს 8847,60 მეტრი. მერე ეს მაჩვენებელი დაამრგვალეს და ასე გაჩნდა 8848. თუმცა, ამ ექვსი წლის წინათ ამერიკელთა ექსპედიციამ აღნიშნა ციფრი, რომელიც დღემდე მიღებულ მაჩვენებელზე თითქმის 2 მეტრით მაღალია.

შესაძლოა, ამჯერად ამერიკელები მართალნიც აღმოჩნდნენ, რადგან ჯერ კიდევ 1955 წელს, როცა მწვერვალის სიმაღლედ 8848 მეტრი მიიჩნიეს, იქვე გამოთქვეს ვარაუდი, რომ შესაძლოა, ცდომილება 2,44 მეტრი იყოს და ჯომოლუნგმა სწორედ ამდენით მაღალი ან დაბალი გამოდგესო.

თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, გაივლის წლები, საუკუნეები და ადამიანები კიდევ მრავალჯერ გამოითვლიან დედამიწის უმაღლესი მწვერვალის სიმაღლეს, ერთ მშვენიერ დღეს კი შეიძლება აღმოაჩინონ, რომ იგი ცხრაათასიანი გამხდარა.

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მწვერვალი თანდათან იზრდება, რადგან გიგანტური კონტინენტური პლატფორმა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიიწევს. ვარაუდობენ, რომ გამყინვარების პერიოდის შემდეგ ჰამალაი სიმაღლეში 1200-1500 მეტრით გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი წელიწადში საშუალოდ 9-10 სანტიმეტრით იზრდება.

მწვერვალები ხან ანელებენ ზრდას, ხანაც ერთბაშად იყრიან ტანს. ვინ იცის, იქნებ იმ გიგანტური კონტინენტური პლატფორმის რღვევამ, რასაც წლევანდელი საშინელი ცუნამი გამოიწვია, ჯომოლუნგმაც გაზარდა.

იმის მიუხედავად, იზრდება თუ არ ჯომოლუნგმა, მეცნიერები ამბობენ, რომ პლანეტის ყველაზე მაღალი მთის გარეგნობა მაინც იცვლებაო. ამ დღეებში ჩინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ჯომოლუნგმას ფერდობები მათი ქვეყნის მხრიდან გაცილებით სწრაფად დნება, ვიდრე აქამდეო.

საფრთხე მართლაც დიდია, რადგან ჯომოლუნგმის მყინვართა ენები უკვე 50 მეტრით დამოკლდა. იგივეს ამბობენ ნეპალელებიც. ამიტომაც ეკოლოგები გაეროს მოუწოდებენ, რომ ჯომოლუნგმა ჩარიცხოს მსოფლიოს იმ ობიექტების სიაში, რომელთაც საფრთხე ემუქრება.

ამბობენ, რომ მყინვართა მკვეთრი დნობის გამო მთის ტბებში წყლის დონე მკვეთრად მატულობს და ჰიმალაის მთებში კატასტროფული წყალდიდობებია მოსალოდნელი.

პლანეტის ყველაზე მაღალი მთის დასაცავად აგორებული კამპანია ტარდება ატმოსფეროში თბილი გაზების გამოყოფის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის ფარგლებში.

ჯგუფს, რომელშიც შედიან მსოფლიოში ცნობილი მოგზაურები და ბრიტანეთში ბაზირებული „დედამიწის მეგობართა“ კავშირის წევრები, განუზრახავს თხოვნით მიმართოს იუნესკოსა და გაეროს მეცნიერებისა და კულტურის სააგენტოს, რათა საგარმატჰას ეროვნული პარკი თავის სიაში შეიყვანოს.

„ჯომოლუნგმა მსოფლიოს მემკვიდრეობის უდიდესი სიმბოლოა და არა მხოლოდ ნეპალისა — ამბობს როიტერის კორესპონდენტთან ინტერვიუში „დედამიწის მეგობართა“ კავშირის ნეპალის განყოფილების დირექტორი პრაკაშ შარმა — და თუ ამ მთას კლიმატური რყევები ემუქრება, მაშინ ნათელია, რომ ვითარება ძალზე სერიოზული ყოფილა.

ავთანდილ გურასაშვილი

სამი ნათელი ამბავი

როგორც ვიუწყებოდით, დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე ნეპალელმა მთამსვლელებმა მონი მულემ და პემბა ჯორჯიმ იქორწინეს. ახლა ამ ასვლასთან და ქორწინებასთან დაკავშირებით ცნობილი გახდა რამდენიმე საინტერესო დეტალი

ახალდაქორწინებულებმა თქვეს, რომ თავიანთ გეგმას საიდუმლოდ ინახავდნენ, რადგან არავის ჰქონდა იმის გარანტია, რომ ისინი მწვერვალს მიაღწევდნენ.

დედამიწის კენწეროზე ასულებმა რამდენიმე წუთით მოიხსნეს ჟანგბადის ნიღბები და ერთმანეთს კისერზე ჩამოჰკიდეს ყვავილების გირლანდები. პემბა ჯორჯემ პატარძლის შუბლზე ალისფერი ფხვნილი წაუსვა, რაც მათი ადათ-წესების მიხედვით ქორწინების სიმბოლოა.

მწვერვალიდან დაბრუნებულმა პატარძალმა კატმანდუში ჟურნალისტებს უამბო, რომ დედამიწის სახურავზე ყველა რელიგიური წესი ვერ დაიცვეს და ისინი ოფიციალურ ცერემონიალს კატმანდუში გამართავენ.

პემბა ჯორჯემ თქვა, რომ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე დაქორწინება აქამდეც ბევრს ჰქონდა გუნებაში, მაგრამ მათ გარდა ეს დღემდე ვერავინ შეძლო.



აპა შერპა

თავიანთი შვილების ამგვარი ქორწინებით გაკვირვებული იყვნენ ნეფე-დედოფლის მშობლები — მათი ქორწინება არღვევს ნეპალის საკასტო-ეთნიკურ კანონებს. ერთი ნეპალური გაზეთი ხუმრობდა — ეს ქორწინება ცაში რომ არ შემდგარიყო, სადღაც მის სიახლოვეს მაინც ნაღდად გაიმართებოდაო.

ეს მაღალმთიანი ქორწინება ერთადერთი ნათელი ამბავი არ იყო ჯომოლუნგმის ისტორიაში. ამ მწვერვალზე 4 თანამემამულე მამაკაცთან და ამდენივე შერპა მთამსვლელთან ერთად ავიდა ორი ირანელი ქალი, 26 წლის სტომატოლოგი ლოლეჰ კეშევარზი და 36 წლის დიზაინერი ფჰარჰონდეჰი სადეკი.

ამგვარად, ეს ირანელები გახდნენ არა მხოლოდ ამ ქვეყნის, არამედ საერთოდ მუსულმანური სამყაროს წარმომადგენელი პირველი ქალები, რომლებმაც ჯომოლუნგმა დალაშქრეს.

ჯომოლუნგმაზე ასვლით კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი თბილისში სტუმრობით ჩვენთვის კარგად ცნობილმა შერპა მთამსვლელმა აპა შერპამ. იგი მეთხუთმეტედ ავიდა ამ მწვერვალზე და ასვლების სიმრავლის მხრივ თავისივე მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა.

წლევანდელი სეზონი ჯომოლუნგმის ისტორიაში განსაკუთრებით საინტერესო იყო იმით, რომ მასზე შვეულმფრენი დაჯდა, მაგრამ ეს იმდენად განსაკუთრებული ამბავია, რომ მასზე უახლოეს დღეებში დაწვრილებით მოგითხრობთ

ავთანდილ ტყვიშვილი

ავტორის ფოტო

ᲕᲐᲠ ᲐᲯᲝᲑᲐ

სიდნეიში, ავსტრალიელმა ენტონი მანდაინმა (ზურგით) ასოციაციის სუპერსაშუალო ჩემპიონი, დანიელი მიკელ კესლერი გამოიწვია ბრძოლაში, მაგრამ ამ საქმიდან ხეირი ვერ ნახა, რადგან დანიელმა ერთხმა გადაწყვეტილებით იმარჯვა და ქამარიც შეინარჩუნა. კესელი დაუმარცხებელია 36 ბრძოლაში.



AFP სიდნეიდან

ᲕᲐᲠ ᲕᲐᲠ...

AFP ᲰᲐᲒᲠ ᲓᲔ ᲒᲠᲘᲠᲘᲡᲘᲓᲐᲜ

მერილენდში, ბულ როკის გოლფ კლუბში ელიზიჯიეის დიდი ტურნირი იწყება. ჰოდა, ეს კოხტა გოგო, მიშელ ვაი, ემზადება.

AFP ᲖᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ᲔᲡᲔᲒ ᲑᲣᲠᲗᲘᲗ

აი, ასეთი ბურთით ითამაშებენ გუნდები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც შვეიცარიასა და ავსტრიაში გაიმართება. ბურთის პრეზენტაცია ვენაში შედგა.

AFP თეირანიდან

ᲖᲔᲘᲛᲘ ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲨᲘ

დიახ, ირანელ ქალებსაც უყვართ ფეხბურთი. თეირანში იქაურებმა ბაჰრეინს მოუგეს 1:0 და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს თავაწეულნი ეგებებიან. თეირანში ასეთი ზეიმი იშვიათად ყოფილა.

რიპ კარლი

AFP ოსლოიდან

ჩვენგან არაერთგზის ნახსენები „რიპ კარლის“ სასერფინგო ფესტივალი ამ ჯერზე საფრანგეთის კიდეზე მიმდინარეობს. გამარჯვებულ ქალთა შორის ჩელსი ჯორჯსონი შეიქნა, რომელიც 10 ათასი დოლარი ფულად ჩაიდო ჯიბეში და წლიურ რეიტინგშიც გვარიანად წამოეწია მსოფლიო ჩემპიონ სოფია მულანოვიჩს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპაჭელიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრინაული
პასუხისმგებელი რედაქტორი აკთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, ეკა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარგანი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლიდო ხოიტერიკა, ვეფხი ზუკაშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან ყელაურაძე, ოთარ ბალლა, ყელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენგაშვილი, ბადრი ყეფილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge